საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 აგვისტო, 2014 წელი.

№169 (7550)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

დარიალს მეწყერი შეეჩვია

სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს განცხადებით, დარიალის ხეობაში სტიქიის შედეგად ჩაკეტილი გზის გახსნას სულ მცირე ორი კვირა დასჭირდება , ხოლო გაზსადენის აღდგენას — ორი დღე. ამის შესახებ განცხადება მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე საბჭოს წარმომადგენელმა ლევან ღირსიაშვილმა გააკეთა.

„პრემიერ-მინისტრთან შექმნილი საგანგებო შტაბის ხელმძღვანელობით, ინტენსიურად მიმდინარეობს შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენითი სამუშაოები. ყველაფერი კეთდება ინფრასტრუქტურის მაქსიმალურად მოკლე ვადებში აღსადგენად. გაგრძელდა საავტომობილო გზის გაწმენდის და აღდგენის სამუშაოები, რასაც ხელს უწყობს ამინდიც. ადგილზე მობილიზებულია საჭირო რაოდენობის მძიმე ტექნიკა, მობილიზებულია სარეზერვო ტექნიკაც. გზის გახსნას, სავარაუდოდ, მინიმუმ ორი კვირა დასჭირდება. ამავდროულად, მიმდინარეობს სომხეთთან დამაკავშირებელი გაზსადენის აღდგენა, რასაც დასჭირდება დაახლოებით ორი დღე, რის შემდეგაც ამ გაზსადენით სომხეთისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება განახლდება. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ჰესის ტექნიკური გვირაბის გაწმენდა. გვირაბის ნაწილი ამ დროისთვის წყლისგან დაცლილია, თუმცა, აუცილებელია გვირაბის ჩრდილოეთი მხარის გახსნა, რათა გვირაბი სრულად დაიცალოს წყლისგან და დაგროვილი ღვარცოფული მასისგან. მდინარე თერგმა რუსეთის მხარეს გარიყა ცხედარი, რომელიც, სავარაუდოდ, არის სტიქიის ზონაში მოყოლილი თურქი მოქალაქე. ამ დროისთვის მიმდინარეობს გადმოსვენებისთვის საჭირო ღონისძიებები. სტიქიის დროს დაკარგული მეორე მოქალაქე ისევ არ არის ნაპოვნი. მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეების ნაწილი რუსეთის მხარემ მიიღო. დასრულდა დარჩენილი მგზავრების ნაწილის ევაკუაცია სტეფანწმინდაში. დევდორაკის ხეობაში გაიხსნა დამატებითი საგუშაგო, რომელიც განახორციელებს ვიზუალურ დაკვირვებას დევდორაკის მყინვარზე და ღვარცოფის ტრანზიტულ ზონაზე“, — განაცხადა ღირსიაშვილმა.

საკუთარი ერის მოღალატე ნებისმიერი ხელისუფლება განწირულია დასაღუპავად!

თვითმხილველის თვალით დანახულ-აღწერილი კიევის მაიდნის მოვლენები

ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან ცნობილი ჩვენებურის, სახელგანსმენილი მწერლის, პოეტისა და მთარგმნელის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და დიპლომატის, საუცხოო პიროვნული თვისებებით უხვად დაჯილდოებული მოღვაწის **რაულ ჩილაჩავას** შემოქმედება, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია, უკრაინაში ცხოვრობს და თავისი წონადი წვლილი შეაქვს ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებაში...

ახლახან შპს „გამომცემლობა კოლორმა“ გამოსცა ბატონი რაულის მორიგი წიგნი **„მაიდანზე, ევროპის ახლოს“... (ქრონიკა-რეპორტაჟი უკრაინიდან)**, რომელშიც იგი აწ უკვე საქვეყნოდ ცნობილ კიევის ევრომაიდანსა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე გვიყვება. ესაა ერთიანი მოზაიკა უკრაინაში დატრიალებული იმ გრანდიოზული ეპოპეისა, რომელმაც მსოფლიო საშიში და რთულად გადასაწყვეტი გამოწვევების წინაშე დააყენა. მკითხველს საშუალება ეძლევა, თვალი მიადევნოს და ჩასწვდეს პოსტსაბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კონფლიქტის უშუალო ძირისძირებს, გაიგოს, თუ რატომ აუმხედრდა უკრაინელი ერი საკუთარ ხელისუფლებას, როგორ იქცა უზარმაზარ სახალხო ძალად თავისუფლების მოედანზე შეკრებილი მცირერიცხოვანი მიტინგი, როგორ დახოცა საკუთარი მოქალაქეები მოღალატე პრეზიდენტმა, როგორ მოახდინა კრემლმა ყირიმის ანექსია და განახორციელა სამხედრო ინტერვენცია აღმოსავლეთ უკრაინაში.

წიგნი დაწერილია თვითმხილველის მიერ, რაც მას უთუოდ დამაჯერებლობასა და ინტიმურობას მატებს.

დღეს გთავაზობთ ამ წიგნის პროლოგსა და ეპილოგს.

6-7

რა ქონებას ფლობს საქართველოს პრეზიდენტი

2

გიგი უგულავას ავგიას თავლა სუფთავდება!

4

რა ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს „კაზანტიპი“?

3

საგამოძიებო სამსახური თბილისის მერიის 13 დაწესებულებას ამოწმებს

2

ოთარ ჭილაძე

12

დიდი მწერლის „10 მცნება“

მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი!..

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერ-მინისტრის ვიზიტი სომხეთში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ერევანში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე გალუსტ საჰაკიანს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, მხარეებმა ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის გაღრმავებაზე იმსჯელეს. ხაზგასმით აღინიშნა „მეგობრობის ხიდის“ მნიშვნელობაც, რომელიც საქართველოსა და სომხეთის მთავრობების მხარდაჭერით სადახლოს საბაჟო-გამშვებ პუნქტზე აშენდება.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოსა და სომხეთის საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობას.

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა. ჩვენს ქვეყნებს ბევრი საერთო აქვთ. საუკუნეების განმავლობაში საქართველომ და სომხეთმა რთული გზა გაიარეს და ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ვართ არა მხოლოდ მეზობლები, არამედ მეგობრები. ჩემი ვიზიტიც ამის დადასტურებაა, რომ მზად ვართ, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გავაღრმაოთ. მოუთმენლად ველით თქვენს ვიზიტს ოქტომბერში“, — მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარეს.

ირაკლი ღარიბაშვილისა და გალუსტ საჰაკიანის შეხვედრას საქართველოს დელეგაციის წევრები და სომხეთის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები დაესწრნენ. სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი ვიზიტის ფარგლებში სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს შეხვდა.

პირისპირ შეხვედრა სომხეთის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა. საუბრის მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები იყო.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კეთილმეზობლური პოლიტიკა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

შეხვედრის შემდეგ, სომხეთის პრეზიდენტმა საქართველოს დელეგაციას ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა. სერჟ სარგსიანმა ირაკლი ღარიბაშვილს სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა.

საგამოძიებო სამსახური თბილისის მერიის 13 დაწესებულებას ამოწმებს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური თბილისის მერიის დაქვემდებარებულ 13 ორგანიზაციაშია შესული. როგორც საგამოძიებო უწყებაში განაცხადეს, გამომძიებლები შესულები არიან „ჰერმესში“, სპორტის სასახლეში, გლდანის საცურაო აუზში, „ლოგოსში“ და სხვა შპს-ებში. შემოწმება თბილისის მერის მოთხოვნით მიმდინარეობს.

მერიამ ამ შპს-ებში შიდა რევიზია ჩაატარა და სავარაუდო დარღვევები აღმოაჩინა, რის შემდეგაც ამ ორგანიზაციების ფინანსური საქმიანობის შესასწავლად ჩვენ მოგვმართა, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

აღნიშნულ ორგანიზაციებში შემოწმება ორი დღის წინათ დაიწყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

„მე მივმართე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, რათა დაეწყო მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იმ ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში არ შემოწმებულა და სადაც არსებობს ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს დარღვევებს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების თვალსაზრისით, გაუაზრებლად მაღალ ხარჯებს და, შესაბამისად, თბილისის მერიის კუთვნილი შემოსავლების ხელოვნურად შემცირებას“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, ცალკეული ორგანიზაციების პირველადი დოკუმენტაციის ნახვის შემდეგ დასტურდება, რომ გაუაზრებლად მაღალი შრომის ანაზღაურება და პრემიები გაიცემოდა. მათ შორის, იმ ადამიანებზეც, რომლებიც, პრაქტიკულად, აღარ მუშაობდნენ ამ ორგანიზაციებში, გაიწეოდა არამიზნობრივი ხარჯები.

* * *

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ კომპანია „სითი პარკის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ კომპანიის მიერ წარმოდგენილ პროგრამას „პიარულად კარგად შეფუთული“ უწოდა.

მერიაში მიმდინარე შეხვედრაზე „სითი პარკის“ საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია კომპანიის პიარ-მენეჯერმა გამართა, რის გამოც დავით ნარმანიამ უკმაყოფილება გამოთქვა.

„ჩვენ მივიღეთ პიარულად კარგად შეფუთული ინფორმაცია, მაგრამ ველოდით სხვას — რა ინვესტიცია ჩადეთ, რა შედეგი მიიღეთ. უფრო მეტი დეტალიზაციაა საჭირო. როცა ქალაქის მერთან მომსახურე კომპანია შეხვედრაზე მოდის, ელემენტარული ზრდილობაა, რომ ხელმძღვანელობამ გამართოს პრეზენტაცია“, — მიმართა ნარმანიამ კომპანიის ხელმძღვანელობას.

პრეზიდენტის და მაკა ჩიჩუას საყვარელი ბულდოგი „ძღერის“...

რა ქონებას ფლობს გიორგი მარგველაშვილი

„დეკლარაცია არის ის ერთ-ერთი ურთულესი დოკუმენტი, რომელსაც მე ვავსებ და ბევრს ვწვალობ, სკრუპულოზურად ვავსებ. იმიტომ რომ, რაც გავხდი საჯარო მოხელე, ჩემი ერთ-ერთი ვალდებულებაა, საზოგადოებამ იცოდეს ჩემი შემოსავლები. მიმაჩნია, რომ ეს ვალდებულება გააჩნია ყველა საჯარო მოხელეს, მათ შორის, იმათ, ვისაც უკავიათ უმაღლესი თანამდებობები“, — განაცხადა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა დავით ბაქრაძის საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული თემის კომენტირებისას.

როგორც ჩანს, პრეზიდენტმა დეკლარაციის შევსებაზე რამდენიმე კვირის წინათ იწვალა, — მისი დეკლარირებული ქონება 7 აგვისტოს არის შევსებული.

ოჯახის წევრებში პირველი ლედი მაკა ჩიჩუა მითითებული არ ყავს. მარგველაშვილი ფლობს 120 კვ/მ საცხოვრებელ ფართს თბილისში პაოლო იაშვილის ქუჩაზე. რამდენიმე მიწის ნაკვეთს — დუშეთში, მათ შორის, სახლს, რომლის ფართიც 200 კვ/მეტრს შეადგენს.

პრეზიდენტს დეკლარაციაში ასევე მითითებული აქვს მამის თემურ მარგველაშვილის საცხოვრებელი სახლი ინგოროყვას ქუჩაზე. როგორც რამდენიმე თვის წინათ მაკა ჩიჩუამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, პრეზიდენტის ქალიშვილი ანა მარგველაშვილი მთაწმინდაზე ცხოვრობს მამის მშობლებთან. რაც შეეხება დუშეთს, ცნობილია, რომ პრეზიდენტის ყველაზე საყვარელი ადგილი სწორედ დუშეთია. დროის დიდ ნაწილს დღესაც დუშეთში ატარებს მაკა ჩიჩუასთან და ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად. ჰყავს შინაური ცხოველები, რომლებიც, როგორც ცნობილია, წყვილს ძალიან უყვარს. მათი ძაღლი, ბულდოგი ბულზო პოპულარული ოთხფეხა მეგობარია, რომელიც „მღერის“.

გიორგი მარგველაშვილს „თიბისი“ ბანკში, სახელფასო ანგარიშზე 3948 ლარი აქვს. როგორც დეკლარაციიდან ირკვევა, გიორგი მარგველაშვილის შემოსავალმა წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, 27590 ლარი შეადგინა. აქედან 21937.57 ლარი მან განათლების მინისტრის პოსტზე მუშაობისას მიიღო ხელფასის სახით, ხოლო 5653.37 ლარი — პრეზიდენტის ხელფასის სახით.

გიორგი მარგველაშვილს კიდევ ერთი დეკლარაცია 2013 წელს აქვს შევსებული. ძველ დეკლარაციაშიც იგივე უძრავი ქონება აქვს მითითებული, რასაც ამჯერად ფლობს. როგორც 2013 წლის დეკლარაციიდან ირკვევა, გიორგი მარგველაშვილს „თიბისი“ ბანკში სახელფასო ანგარიშზე — 1464 ლარი, „ქართუ ბანკში“ 13640 ლარი ჰქონდა, ხოლო ანაბარზე, რომელიც „თიბისი“ ბანკში ჰქონდა გახსნილი და ახლა აღარ აქვს, 6392 ლარი ჰქონდა.

მისი შემოსავალი 2012 წელს შეადგენდა 84224 ლარს. 51517 ლარი მას ხელფასის სახით აღებული ჰქონდა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ლექტორის პოზიციაზე, როგორც მკვლევარმა, 25000 ლარი აიღო წლის მანძილზე საქართველოს განვითარების კვლევით ინსტიტუტში, 6307 ლარი აიღო 2012 წელს მინისტრის პოზიციაზე მუშაობისას და როგორც სატელევიზიო გადაცემის ავტორს, 1400 ლარი დაერიცხა ხელფასის სახით. საუბარია გადაცემაზე „კვირის აზრები“, რომელიც „მაესტროს“ ეთერში გადიოდა. 2013 წლის დეკლარაციაში მას ასევე მითითებული აქვს, რომ 2007 წელს მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკა „გროშჰადენმა“ მის ანგარიშზე ჩარიცხა 20 000 ევრო: „2007 წელს ქ.მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკა „გროშჰადენი“ — ჩარიცხულ იქნა ჩემს სახელზე 20000 ევრო და ოპერაციის შემდეგ ჩემს სახელზე დარჩენილია 7500 ევრო“, — განმარტავს პრეზიდენტი 2013 წელს შევსებულ დეკლარაციაში, სადაც ასევე მითითებული აქვს თავისი მშობლების საპენსიო და სახელფასო შემოსავლებიც.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის არც ერთ დეკლარაციაში არ არის მითითებული არც სამივლინებო ხარჯები და არც პრემიის დანამატი.

◎ ალიანჩალიანი

„ენერგო პრო ჯორჯიას“ ტარიფი უცვლელი დარჩა

სემეკმა კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიას“ ტარიფი უცვლელი დატოვა. შესაბამისი გადაწყვეტილება სემეკმა გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

კომისიის გადაწყვეტილებით, საფეხურებრივი ტარიფი უცვლელი რჩება, შესაბამისად 0-დან 100 კვტ. სთ-მდე დანახარჯის შემთხვევაში ტარიფი იქნება 7.630 თეთრი. 201-დან 300 კვტ.საათამდე — 11.0 თეთრი, 301 კვტ.სთ-დან ზემოთ — 14.83 თეთრი.

გადაწყვეტილების მიღებამდე კი, კომისიამ მოისმინა სემეკის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის ინფორმაცია. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიებით შექმნისა და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, ამ ეტაპზე მოსახლეობისთვის ე.წ. საფეხურებრივი ტარიფი შენარჩუნდეს. ტარიფი 2015 წლის ბოლომდე იქნება ძალაში.

სოციალურად დაუცველი ბავშვები მონასტრებში იცხოვრებენ

სოციალურად დაუცველი 40-მდე ბავშვი გუშინ სხვადასხვა ეპარქიის მონასტერში გაემგზავრა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს.

მერიის ინფორმაციით, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვები სხვადასხვა ეპარქიის მონასტრებში თბილისის მერიისა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაემგზავრნენ.

მოზარდები ერთი კვირის განმავლობაში სამონასტრო ცხოვრებას ეზიარებიან. ბავშვები თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა გააცილეს.

ENERGO-PRO
Georgia

◎ წკეპლიკა

ველოდებით... ოპერატორს მთელი 24 საათი

პატივცემულო რედაქცია, ამას წინათ თქვენი გაზეთი წერდა, თუ რა ცუდად მუშაობენ (მგონი, საერთოდ არ მუშაობენ!) საცნობარო ტელეფონები თბილისში (სხვა ქალაქებში, ალბათ, უარესი მდგომარეობაა!). მაგალითად მოყვანილი იყო სააფთიაქო ცნობარი 225-22-33, რომელიც მუდმივად დაკავებულია (ლამის მთელი დღე-ღამის განმავლობაში!).

ნამდვილად არ მეგონა, თუ ასევე „მუშაობდა“ მაგთიკომის საცნობარო — 110011.

როგორც ჩანს, საცნობაროს მუშაკებს გაფიცვა აქვთ, ანდა რაღაცის გამო პროტესტს აცხადებენ, თორემ როგორ შეიძლება, რომ ოპერატორმა მთელი 24 საათის განმავლობაში არ გიპასუხოს?

ჩემს ნომერზე ბოლო ერთი თვეა ჩართულია რომელიღაც დაწესებულების რეკლამა, თანაც კარგა გვარიანად ხანგრძლივი. აი, სწორედ ამიტომ ვრეკავ გამუდმებით 110011-ზე, მაგრამ ამაოდ. ავტომოპასუხე ჩვეულებრივ მაცნობს, რა ციფრებს უნდა დავაჭირო ხელი ჩემთვის საინტერესო პასუხის მისაღებად. შემდეგ **„გთხოვთ, დაელოდოთ ოპერატორს“,** გაისმის ყურმილში, და შენც გამოყეყეჩებამდე ელოდები და ელოდები.

ამ წერილს რომ გწერთ, თან მაგთიკომის ოპერატორს ველოდები... მაგრამ ისევ ამაოდ.

როდემდე ველოდოთ, ბატონებო!

გია კანდელაკი,
პედაგოგი. ქ. თბილისი.

◎ დარგის პრობლემები

ქართველი მეწარმეები – მოჯადოებულ წრეში

2014 წელი მეფრინველეობისთვის საკმაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, წლევანდელ პირველ ნახევარში საქართველოში 265 მლნ. ცალი კვერცხია წარმოებული, რაც 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 7 მილიონით აღემატება, ხოლო მეორე კვარტალში კვერცხის წარმოებამ 144,6 მლნ. ცალს მიაღწია, რაც თითქმის 10%-ით მეტია 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მეფრინველეობის ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ უჩუმბეგაშვილიც აღიარებს, რომ ამ სფეროში წინსვლის ტენდენცია მართლაც შეინიშნება, თუმცა, კვერცხის წარმოებაში ბევრი სხვა გადაუულახავი პრობლემა არსებობს.

რას უჩივის მეფრინველეობის ასოციაცია?

— საქართველოში კვერცხი, — ამბობს იგი, — ძირითადად შემოდის მოლდოვადან, უკრაინიდან და თურქეთიდან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტირებული კვერცხი არაფრით სჯობს ადგილობრივს. ზოგადად კვერცხის წარმოება ძალიან სპეციფიკური სფეროა: ვერც ერთი ქვეყანა ვერ აწარმოებს იმ რაოდენობის პროდუქციას, რამდენიც სჭირდება ადგილობრივ ბაზარს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამიტომ ხან პროდუქციის დეფიციტი შეინიშნება, ხანაც პრეფიციტი. ამის გამო, კვერცხის იმპორტი ჩვეულებრივი ამბავია საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც, უბრალოდ ქართველ მეწარმეებს არა აქვთ საშუალება, რომ თავიანთი პროდუქცია სხვა ქვეყნებშიც გაიტანონ. თითქოს მოჯადოებულ წრეში ვართ ჩაკეტილი და მას ვერ ვშორდებით.

— რით შეიძლება ამის ახსნა?

— საქმე ის არის, რომ ქვეყანაში არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ამ დარგის მეწარმეებს დაეხმარება და ხელს შეუწყობს. სამაგიეროდ, არის ძალიან ბევრი ფიტოსანიტარიული და ვეტერინარიული შეზღუდვა, რაც ხელფეხს გვიბორკავს. ძალიანაც რომ მოვინდომოთ ქართული კვერცხის რომელიმე ქვეყანაში გატანა, ვერსად ვერ შევიტანთ. სამაგიეროდ, ჩვენ აბსოლუტურად დაუცველნი ვართ — ქართული კანონმდებლობით და მარტივი პროცედურების გავლით, ყველა ახერხებს თავისი ჭარბი ნაწარმის აქ შემოტანას. ქართველ მეწარმეებს კი ამაზე ფიქრიც არ შეუძლიათ. ჩვენც გვაქვს ნაშთები და ჩვენც გვინდა საკუთარი პროდუქციის ექსპორტზე გატანა, მაგრამ ვერ ვახერხებთ: ევროკავშირის ქვეყნებში კანონმდებლობის გამო ვერ შევდივართ, თურქეთმა გადასახადები დაგვიწესა არა მარტო კვერცხზე, არამედ ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, სომხეთი და აზერბაიჯანი საზღვრებს საკმაოდ მკაცრად აკონტროლებენ, უკრაინას აკრედიტაციის კანონი აქვს მიღებული... ერთი სიტყვით, ხელ-ფეხი გვაქვს შეკრული და ეს მაშინ, როცა იმაზე მეტ კვერცხს ვაწარმოებთ, ვიდრე გვჭირდება. ექსპორტის საშუალებაც გვაქვს და ნებისმიერ ქვეყანაში კონკურენტუანარიანები ვიქნებით, როგორც ხარისხით, ასევე — ფასით.



— გამოდის, ადგილობრივ მეწარმეებს შეუძლიათ, რომ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა ამ პროდუქტზე სრულიად დააკმაყოფილონ?

— ქვეყანაში 23 ბრენდირებული ფაბრიკაა. მცირე ფერმერულ მეურნეობებს აღარ ვითვლი, რომლებიც ასევე დიდი რაოდენობით გვაქვს. უცხოეთიდან შემოტანილი კვერცხი არ გვჭირდება, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაც შეგვიძლია და პროდუქციის ექსპორტზე გატანაც. რამდენიმე დღეში მორიგი შეხვედრა გვაქვს ეკონომიკის სამინისტროში, სადაც განიხილება კანონპროექტი საზღვრის დაცვის შესახებ. ეს არის შვეიცარიელი ექსპერტების მიერ რეკომენდებული კანონპროექტი, რომელმაც ქართველ მეწარმეთა უფლებები უნდა დაიცვას, მაგრამ ორი წლის განმავლობაში თაროზე უდევთ და მისთვის ვერავინ მოიცალა. აქამდე ცხრაჯერ უნდა იყოს დამტკიცებული, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. ამის გამო ჩვენ მთავრობას უმოქმედობაში ვადანაშაულებთ და კანონპროექტის დროულად განხილვასა და დამტკიცებას მოვითხოვთ. ორშაბათიდან უკვე ვიწყებთ აქტიურობას და მოვითხოვთ, რომ აღნიშნული კანონის მიღება დააჩქარონ. მიუღწეველს რას ვითხოვთ? -თუ მაგალითად, თურქეთი გადასახადს უწესებს ქართველ მეწარმეებს, მაშინ იგივე გადასახადი დაუწესონ თურქებსაც, რომ ქართველი და თურქი მეწარმე ერთნაირ პირობებში აღმოჩნდნენ. წარმოიდგინეთ, თურქეთში კვერცხი რომ შევიტანოთ, გადასახადების მოცულობა 108%-მდე ადის.

— დაწვრილებით აგვიხსენით, რატომ გიმძიმდებათ ასე საგადასახადო ტვირთი?

— გადასახადები, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი თუ სხვა ტიპის მოსაკრებლები — ყველაფერი ერთად 108%-მდე ადის. დავუშვათ, თუ ერთი ყუთი კვერცხის ღირებულება 100 დოლარია, ჩვენ 108 დოლარი გვიჯდება მისი თურქეთის ტერიტორიაზე შეტანა. ბუნებრივია, ამის გამო ეს ჩვენთვის წამგებიანი ბიზნესია და იქ ჩვენი მეწარმე ვეღარ შედის. საქართველოში კი იმპორტიორისთვის საგადასახადო ტვირთი მხოლოდ 12%-ია. ვფიქრობ, სურათი საკმაოდ ნათელია ? სად 108% და სად 12 %? ქართული წარმოების კვერცხს უკრაინაშიც ვერ შეიტან, თუ სპეციალური აკრედიტაცია არ გაიარე. სხვა ქვეყნებსაც საკმაოდ მკაცრი რეგულაციები აქვთ დაწესებული. ყველა ქვეყანა საკუთარი კანონმდებლობით იცავს თავის ბაზარს, მარტო ჩვენ ვართ დაუცველი.

—თუმცა, ამ პრობლემების მიუხედავად, კვერცხის წარმოება წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა.

— გაიზარდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთმანეთს რას ვადარებთ: წარმოება გაიზარდა შარშანდელთან შედარებით, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შარშან კვერცხის წარმოება წინა წელთან შედარებით 30%-ით შემცირდა. გამოდის, რომ 2012 წელთან შედარებით, კვერცხის წარმოება საქართველოში 16 %-ით შემცირდა, რაც სულაც არ არის სახარბიელო მაჩვენებელი. მართალია, კვერცხის წარმოებას იაფი სესხების პროგრამამაც შეუწყო ხელი, ამავე დროს, თურქეთში კვერცხი ძალიან გაძვირდა, უკრაინელი იმპორტიორებისთვისაც აღარ არის ხელსაყრელი მდგომარეობა — ამ და სხვა ფაქტორების გამო წელს ჩვენთან წარმოება მართლა გაიზარდა, მაგრამ თუ 2012 წლის მონაცემებს შევადარებთ, არანაირ ზრდაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ ფესტივალი

რა ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს „კაზანტიპი“?

20 აგვისტოს ანაკლიაში ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „კაზანტიპი“ ოფიციალურად გაიხსნა. აღნიშნული ფესტივალი 1992 წლიდან ყოველწლიურად, ყირიმის ნახევარკუნძულზე, უკრაინაში ტარდებოდა თუმცა, რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ ფესტივალის ჩატარება ანაკლიაში გადაწყდა. თავად ფესტივალი 50 000-ზე მეტ სხვადასხვა ქვეყნიდან ოფიციალურად დარეგისტრირებულ წევრს აერთიანებს და მისი მასშტაბები, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა.

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, ფესტივალის ორგანიზატორები დაახლოებით 30 000 ადამიანის დასახვედრად ემზადებოდნენ, თუმცა რეალურად რამდენი ადამიანი იღებს მონაწილეობას და რამდენი ტურისტია უშუალოდ ფესტივალის ფარგლებში ჩამოსული, ამას ორგანიზატორები ჯერ არ ახმაურებენ. მათივე ცნობით, ეს ინფორმაცია საჯარო 1 სექტემბერს გახდება.

სტანდარტული ერთადგილიანი ნომრის ფასი უკანასკნელ პერიოდში 100-დან 150 ლარამდე გაიზარდა

„კაზანტიპის“ ჩატარების პერიოდში, ანაკლიაში მდებარე სასტუმროებში ყველა ნომერი დაკავებულია. ამასთანავე, საკმაოდ გაძვირებულია სასტუმროს ნომრების ფასიც. მაგალითად, სასტუმრო „ოქროს საწმისის“ სტანდარტული ერთადგილიანი ნომრის ფასი უკანასკნელ პერიოდში 100 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა.

„სასტუმროს ნომრებზე ფასების ზრდა გასული თვის ბოლოდან აღინიშნა. ცხადია, ერთი მხრივ ფასების ზრდა გამოწვეულია ანაკლიაში საკურორტო სეზონის გახსნითა და ტურისტების ნაკადის ზრდით, თუმცა, ფასებზე საკმაოდ დიდი გავლენა ელექტრონული მუსიკის ფესტივალის ანაკლიაში ჩატარებამ იქონია, რადგანაც ნომრების დიდი ნაწილის დაჯავშნა უშუალოდ ფესტივალის პერიოდისთვის მოხდა,“ — აცხადებს სასტუმრო „ოქროს საწმისის“ ადმინისტრატორი ანა კვარაცხელია.

ტურისტების ნაწილი ნომრებს საოჯახო სასტუმროებში ქირაობს, რომელთა ფასიც დღე-ღამეში საშუალოდ 20-დან 80-ლარამდე მერყეობს. იმის მიხედვით, თუ რამდენად დაშორებულია იგი უშუალოდ ზღვის სანაპიროდან.

საინტერესოა, რა ზეგავლენა ექნება მსგავსი ფესტივალების ჩატარებას ქვეყნის ეკონომიკაზე და რამდენად გაზრდის საქართველოს ტურისტულ პოტენციალს?

როგორც ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე bpn-თან საუბრისას აღნიშნავს, „კაზანტიპის“ ჩატარება საქართველოს ტურისტულ კონკურენტუნარიანობას გაზრდის, რის შედეგადაც უფრო მეტი ტურისტი ეწვევა ქვეყანას.

„საქართველოს, მისი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოებებიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი უპირატესობა აქვს ტურიზმის ისეთ სახეობებში, როგორიცაა სამედიცინო, ექსტრემალური ან საგანმანათლებლო ტურიზმი, მაგრამ დასვენებაზე ორიენტირებულ ტურიზმში საკმაოდ დიდ კონკურენციას შავიზღვისპირეთში არსებული სხვა, ბევრად განვითარებული კურორტები გვიწევს. ამიტომ, ისეთი სახის ფესტივალები, როგორიც „კაზანტიპია“, ერთ-ერთი მთავარი გზაა ჩვენი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ვინაიდან ის უამრავ ტურისტს იზიდავს და ზრდის მისი ჩატარების ადგილის ცნობადობას. თავის მხრივ, ტურისტული პოტენციალის ამაღლება ასეთ რეგიონებში, ინვესტიციების მოზიდვასაც უზრუნველყოფს. ამიტომ, მსგავსი ტიპის ფესტივალებს ყოველთვის მივესალმები. გარდა ამისა, იგი ეკონომიკის სხვა სექტორების წინსვლასაც ხელს უწყობს, რადგან ჩამოსულ ტურისტს ღამის გათევისა და კვების გარდა ბევრი სხვა სერვისიც სჭირდება. მაგალითად, „კაზანტიპი“ განსაკუთრებით სატრანსპორტო სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს,“ — აცხადებს ირაკლი ლექვინაძე.

ირაკლი ლექვინაძე ასევე ხაზს უსვამს იმ დადებით შედეგს, რაც ამ მცირე პერიოდში ფესტივალის ჩატარებამ ანაკლიის მოსახლეობას მოუტანა.

„ცხადია, მსგავს ფესტივალებს საკმაოდ დიდი, რეგიონული ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლიათ. ვგულისხმობ ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, რასაც აუცილებლად დავინახავთ ამ ფესტივალის დასრულების შემდეგ მიღებული ეკონომიკური შედეგების დათვლისას. უპირველესად, ეს ანაკლიის მოსახლეობის მიერ საოჯახო სასტუმროებიდან მიღებულ შემოსავლებში აისახება. გარდა ამისა, ჩამოსული ტურისტები საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავენ საკვებზე, გართობაზე, რაც ადგილობრივებისთვის დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალებას იძლევა.“

ჯერჯერობით უცნობია, მიიღებს თუ არა სისტემატურ ხასიათს ფესტივალის ანაკლიაში ჩატარება. როგორც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რამე სახის მოლაპარაკებები ამ საკითხზე „კაზანტიპის“ პრეზიდენტ ნიკიტა მარშუნოკთან არ ჰქონიათ.

„კაზანტიპის“ პიარმენეჯერის ნინო სტურუას განცხადებით, ფესტივალის ანაკლიაში დარჩენა, დიდწილად დამოკიდებული იქნება იმ შედეგებზე, რასაც აღნიშნული ფესტივალი წელს საქართველოს მოუტანს.

ლაშა კელიხაშვილი

„ბუდა-ბარი“ დახურეს

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტმა ბათუმში კაფე-ბარი და რესტორანი დახურა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე შპს President Plaza Hotel-ის კუთვნილ „ბუდა-ბარსა“ და ქუთაისის ქუჩაზე — რესტორან „მიუნჰენში“.

მათივე ინფორმაციით, ბიზნესოპერატორებმა ვერ წარმოადგინეს ხბოს ხორცის კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი — ვეტერინარიული მოწმობა ფორმა №2, რის გამოც „ბუდა-ბარსა“ და რესტორან „მიუნჰენს“ საწარმოო პროცესი შეუჩერდა, ხორცი დაილუქა, ბიზნესოპერატორები კი 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.

ამასთან, სააგენტოს ცნობით, სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა საწარმოო პროცესი შეუჩერეს და 1000 ლარით დააჯარიმეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურში მდებარე ი/მ „აფიგ ალაზოვის“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტი, სადაც დარღვეული იყო სურსათის შენახვის ტემპერატურული რეჟიმი; სააგენტოს ინფორმაციით, ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა ვეტერინარული მოწმობა - ფორმა №2, რის გამოც ი/მ „აფიგ ალაზოვი“ 1000 ლარით დაჯარიმდა.

გიგი უგულავას ავგიას თავლა სუფთავდება!

ამჟამად პრესაში და საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ყოფილი ქალაქის მერის გიგი უგულავას გარშემო. ამ წერილში არ დავიწყებ იმის მტკიცებას, არის თუ არა ეს პიროვნება რამეში დამნაშავე, უბრალოდ, მასთან დაკავშირებით ჩემს ოჯახზე თავსდატეხილ ეპიზოდს გავიხსენებ, დაე, ჩვენმა ხალხმა თავად განსაჯოს მისი ბრალეულობა.

2013 წელს თბილისში გამართულ ერთ-ერთ დიდ კონცერტზე, რომელსაც მეუღლესთან ერთად ესწრებოდა იმჟამინდელი ქალაქის მერი, ჩემმა ვაჟმა რამაზ ნოზაძემ საკმაოდ ფამილარულად უთხრა: აქ გართობას ჯობდა, წინა დღეს ავღანეთიდან ჩამოსვენებული ქართველი ბიჭების კუბოებთან მდგარიყავიო... მე საკუთარ შვილს არ დავიცავ და არ შევეცდები მის გამართლებს. თუმღაცა, რამაზის სიტყვებში შეიძლება სიმართლის მარცვალიც ერიოს, მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით ქალაქის პირველ პირს, უმაღლესი სამთავრობო ეშელონების წარმომადგენელს ასე არ ელაპარაკებიან. ბატონ გიგის ამ გამოხდომაზე რეაგირება არ მოუხდენია, უბრალოდ, თვალები მოწკურა და უხმოდ დაჯდა.

დიდი დრო არ დასჭირვებია ქალაქის მერს, გულში ჩადებული წყენა ამოენთხია. სულ ცოტა ხანში ბაგა-ბაღში, სადაც ჩემი მეუღლე ოცდაათი წელია, მუშაობს, საეჭვოდ იმატა ტენდენციურად, აშკარად აგრესიულად განწყობილ შემმოწმებელთა რიცხვმა. შემოწმებები ფაქტობრივად უშედეგო იყო და ვერავითარ დარღვევას ვერ პოულობდნენ. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ბოღმისგან წონასწორობადაკარგული მერის კატეგორიულ მოთხოვნებს დაჰყვნენ (თხუთმეტ წუთში ერთხელ რეკავდა ტელეფონზე და კითხულობდა, მოხსენით თუ არა ნოზაძეო). სრულიად უდანაშაულო, ყოველგვარი, შრომის კანონმდებლობის უგულებელყოფით ჩემი ცოლი მაინც მოხსნეს სამსახურიდან. რა უნდა გვექნა? რა შეგვეძლო ორ ხნიერ ადამიანს? მე და ჩემი მეუღლე ხანგრძლივი სტაჟის პედაგოგები გახლავართ და კარგად მოგვეხსენება, სად იწყება და სად მთავრდება ჩვენი უფლებები. ამიტომ მთელი ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობებს თავი მოვუყარეთ და საქმე გავასაჩივრეთ. ჩვენს ბედად უკომპრომისო, პრინციპული მოსამართლე შეგვხვდა, წამში ხუხულასავით დაიშალა რის ვაივაგლახით შეკოწიწებული, თეთრი ძაფით ნაკერი „საქმე“. ჩემი ცოლი სამსახურში აღადგინეს, მაგრამ ბოდიშის მოხდა არავის უფიქრია, რომ აღარაფერი ვთქვათ რამდენიმე თვის ხელფასის ანაზღაურებაზე. გაბოროტებულმა სააგენტომ მხოლოდ ის მოახერხა, რომ საყვედური გამოუცხადა ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ამ გაწამაწიამ, სასამართლოში სიარულმა „მოსე მწერლების“ შთამომავლებთან ურთიერთობამ შეიწირა შავი დღისთვის გადანახული ჩვენი მცირე დანაზოგი.

სრულად გამართლდა ანდაზა „აქლემების ჩხუბში კოზაკი გაიჭყლიტაო“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გიგი უგულავამ თავისი ქმედებით დანაშაულისკენ უბიძგა და სიყალბე ჩაადენინა სააგენტოს თანამშრომლებს.

ბოლოს და ბოლოს, ჯანდაბას ჩემი ოჯახის პრობლემები. მე ჩვენი ქვეყნის პატრიოტი ვარ და არ შემიძლია, წავუყრუო იმ საკითხს, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ყოფილ მერს და, სამწუხაროდ, არა მარტო მას, ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდა რაღაც არასერიოზულ საქმედ მიაჩნიათ, რადგან, სწორედ მისი ზეობის ჟამს ამ სფეროს მიადგა ისეთი გამანადგურებელი დარტყმა, რომელიც მომავალში აუცილებლად იჩენს თავს.

ბატონო გიგი! თქვენ რომ მერის თანამდებობა გეკავათ, ეტყობა, სრულიად არ გაინტერესებდათ, რა ხდებოდა ქალაქის ბაგა-ბაღში და არც ის, თუ ვის ანდობდით სამართავად ამ მეტად სათუთ, რთული სპეციფიკის მქონე სფეროს. რა უნდა დავარქვათ თქვენს ჩანაფიქრს? — საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება თუ წინასწარ გათვლილი სვლა, მარიონეტების დასი, რომელსაც საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო უწოდეთ. მართლა რომ გონივრული, მაგრამ მთლიანობაში არაკაცური ქმედება გახლდათ, როცა ეს ორგანიზაცია დაკომპლექტდა ჩინოვნიკების ახლობლებისაგან და ნაციონალური მოძრაობის თავგადაკლული აქტივისტებისგან. იქნებ, კადრების ნაკლებობას განიცდიდით და ამ მიზეზით დაეყრდენით ამ ქუჩიდან აკრეფილ ხალხს?!

ღმერთის გეშინოდეთ, ბატონო გიგი! სწორედ თქვენი მერობის ჟამს ჩატარდა ბაგა-ბაღების ხელმძღვანელთა ტესტირება თუ გამოცდების მსგავსი ფარსი, რომლის შედეგად აუარება სპეციალისტი გაყარეთ სამსახურიდან. მათ თქვენ არ ენდობოდით, რადგან გამორიცხული არ იყო, ზოგიერთ მათგანს სამართლიანობის გრძნობა გასჩენოდა, და წინ აღდგომოდა თქვენს უკანონო კაპრიზებს. ეს ხალხი კი, რომლებიც ამჟამად დასაქმებულია სააგენტოში (როგორც ჩემი მეუღლის საქმემ დაგვანახა) ნებისმიერ საზიზღრობაზე არიან წამსვლელები, ოღონდ სრულიად უკანონოდ მოპოვებული თბილი ადგილები შეინარჩუნონ. გაჩუმების ნაცვლად, ისინი პირიქით მოიქცნენ და ზღვარგასული აქტიურობით აუარება სისულელე და შეცდომა დაუშვეს. ძალაუნებურად გაგონდება გონივრული ანდაზა: „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“. მათ გვერდით მოისროლეს ყოველგვარი დემოკრატიულობა. ბაღის გამგეებს უფლებები შეეკვეცათ, პედაგოგებზე ლაპარაკი აღარ არის, ტექნიკური მუშაკების მიღებაც მხოლოდ მათი გადასაწყვეტი გახდა. თითოეულ ბაღში აუცილებელი წესით დაინიშნენ სოციალიზმის დროს არსებული ე. წ. „პოლიტრუკების“ ანალოგიით დირექტორის მოადგილეები, სოლიდური ხელფასითა და გაურკვეველი მოვალეობებით.

ბაღში ახალი კონტინგენტის მიღება ისე გაართულეს, მშობლები იძულებული გახადეს, კომპიუტერებთან ეთენებინათ. ბავშვის თითოეული გაცდენილი დღისთვის კატეგორიულად ითხოვდნენ ექიმის ცნობას, რაც გარკვეულ ხარჯებთან და კორუფციასთან იყო დაკავშირებული. ბაღების უაღრესად გადატვირთულობის მიუხედავად, ყოველგვარი რიგითობის დაუცველად, მათი პროტექციით ხდებოდა ახალი ბავშვების მიღება. შემოწმებები ავადსახსენებელი ობეხეესის სცენარით და მეთოდებით ხორციელდებოდა და, როგორც წესი, სამზარეულოთი და სასურსათო საწყობით შემოიფარგლებოდა. ყოველგვარი სამედიცინო ცნობებისა და სპეცტანსაცმლის გარეშე, ხშირად წვერგაუპარსავნი, უსუფთაო ტანსაცმლით დააბოტებდნენ კვების ბლოკში. მზარეული, რომელიც ფაქტობრივად მთელ დღეს გავარვარებულ ღუმელთან ატარებდა, საკუთარი მომზადებული ერთი თეფში წვნიანის მიღებისთვის შეიძლებოდა უმუშევარი აღმოჩენილიყო. მათი „საგმირო“ საქმეების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ტარდებოდა არავითარი მეთოდური მუშაობა, ღია მეცადინეობები და გამორჩეული პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება. მაგრამ ისიც საკითხავია, ვის უნდა ეწარმოებინა ეს მუშაობა, როცა მათ შორის პედაგოგს ძნელად წააწყდებოდით. იქმნებოდა შთაბეჭდილება იმისა, რომ აღნიშნული სააგენტო კი არ შეიქმნა ბაგა-ბაღების კოორდინაციისთვის და მუშაობის გასაუმჯობესებლად, არამედ ბაღები არსებობდნენ მათი დასაქმებისთვის.

აუცილებლად აღსანიშნავია 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები, როცა ჩვენმა ერმა მძლავრი ჭიტლაყით თავიდან მოიშორა დანაშაულებრივი ხელისუფლება, მაგრამ ნაცპარტია სულ უკანასკნელ პერიოდამდე ქალაქის მერიაში მყარ პოზიციებს ინარჩუნებდა და აგონიაში მყოფიც ახერხებდა დიდი ფულების კეთებას. ამის მაგალითად გამოდგება შესაშური ტემპით, სტახანოვური შემართებით ბაგა-ბაღებში დამონტაჟებული აუარება ვიდეოკამერა. შეკაი დედმამიშვილო, ხშირად სახლში ერთი ბავშვის მოვლა გვიჭირს და შრომით გათანგულმა მასწავლებელმა, რომელსაც ორმოცდაათი ბავშვი ტვინს უბურღავს, თუ ოდნავ ხმას აუწია, აუცილებლად შენ უნდა უთვალთვალო და დაუყოვნებლივ ზომები მიიღო? რომელი ცეერუს ან კაგებეს შტაბბინაა, ყოველ ნაბიჯზე რომ სათვალთვალოები დაუდგი.

ამდენი უარყოფითის შემდეგ, რაც ამ წერილში ამოიკითხეთ, დადებით თემაზე გადავიდეთ. ქალაქის მერიას ბოლოს და ბოლოს ეღირსა განათლებული, ობიექტური, პრინციპული ადამიანი, რომელიც, იმედია, უყურადღებოდ არ დატოვებს ამ სფეროს, რადგან თვითონაც წვრილშვილია. პირველი იმედისმომცემი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: სააგენტოს ხელმძღვანელად დაინიშნა სუფთა წარსულის, მოწოდებით პედაგოგი თეიმურაზ თორდინავა. ძალიან ბევრი გასაკეთებელი საქმე დახვდა და, იმედია, ახალგაზრდული შემართებით შეუდგება სააგენტოს მუშაობის ძირფესვიან გარდაქმნას და ჯეროვანი წესრიგის დამყარებას.

ჯემალ ნოზაძე.

P. S. ძალიან გამაკვირვა და გაოცებული დამტოვა ამასწინათ ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის ქალბატონ სევდია უგრეხელიძის ტელეგამოსვლამ, სადაც ის ტრაგიკული ხმით საზოგადოებას ამცნობდა: ახალი ხელისუფლება ცდილობს მერიიდან პოლიტიკური ნიშნით ხალხის გამოდევნასო.

მაპატიეთ, მაგრამ, ამ პათოსს ვერ გავიზიარებ სევდიანო ქალბატონო, რადგან, როცა ნაციონალური ხელისუფლება ვირეშმაკური გზებით აუარება ხალხს უმუშევრად ტოვებდა, ანალოგიური განცხადება მაშინაც რომ გაგეკეთებინათ, კი ბატონო, მის ობიექტურობაში ეჭვს ვერ შევიტანდი. ჩემს წერილში მოყვანილი ფაქტები ზღვაში წვეთია. სინამდვილეში გიგი უგულავამ ისეთი ავგიას თავლები დატოვა, რომლის დასუფთავება კარდინალური ზომების გარეშე წარმოუდგენელია.

ქალბატონო სევდია, აშკარად ვგრძნობ, რაც გაწუხებთ. ყოველგვარი საშუალებებით გინდათ, ადგილებზე ხელუხლებლად შეინარჩუნოთ თქვენი ერთგული კადრები, თუნდაც სრული პროფანები, უცოდინარი დილეტანტები, რომლებიც პირველი დაძახებისთანავე შეეცდებიან, ობსტრუქციები მოუწყონ ოცნების ხელისუფლებას.

ჯ. ნ.

◎ კაკალ გულში

კაზანტიპი რას დაგვაკლებს, როცა მთელი საქართველო ბორდელია!

● მთავრობის გადაწყვეტილებით, ყინულიან წყალს მარგველაშვილი გადაისხამს და ღარიბაშვილს ჩაეთვლება.

● ისეთი ცივი წყალი გადაგვასხა „ქართულმა ოცნებამ“, რომ ეგ აქცია აშკარად ნელთბილია მაგასთან შედარებით.

● წყალგადასხმულების ქვითრები დაიდოს!

● რას გამოიწვევს მედიკამენტების რეცეპტით გაცემა:

1. სიკვდილიანობის გაზრდას: უმუშევარი და ღატაკი, კონკრეტული ტკივილებით გატანჯული ავადმყოფი (რამდენი ვიცი!) წლობით ოცნებობს ექიმთან მისვლაზე და ვერ მისულა უფულობის გამო. ჰოდა ახლა ნოშპის და კაპტოპრილის გამოსაწერად მივა? რა ბოდვაა?!

2. ბიუროკრატიის და კორუფციის ზრდას და არაკეთილსინდისიერი ექიმების მიერ (რომლებიც, სამწუხაროდ, მრავლად არიან) რეცეპტების გამოწერის პროცედურის სპეციალურად გართულებას (ეს ღვიძლს არ უსდება და წადი ჯერ ღვიძლი შეიმოწმე, მერე ნერვები შეიმოწმე, მერე ალერგიულობაზე გაესინჯე, მერე კბილის რენტგენი გადაიღე, მერე კუჭ-ნაწლავი შეიმოწმე და ა.შ.და ა.შ. ამის მაგალითები მე უკვე ბლომად ვიცი, თუნდაც, აი ამ უფასო სამკურნალო პროცედურების და საყოველთაო დაზღვევის ლაბირინთებში როგორ დააბოდიალებენ ჰაციენტებს არაკეთილსინდისიერი ექიმები. (კეთილსინდისიერ ექიმებთან ბოდიში, ისინი არც მიიღებენ საკუთარ თავზე, მაგრამ უმციერესობაში არიან და ჩვენთვის რა ნუგეშია?).

ნერტილოვანი ფრაზები

3. ახალი კანონპროექტი გამოიწვევს შავი ბაზრის განვითარებას. ეს უკვე შეიმჩნევა იმ პრეპარატებზე, რომელთა ურეცეპტოდ გაცემა გასულ წლებში აკრძალეს.

ერთწლიანი რეცეპტები გაიცემაო, ეგ რაღას ნიშნავს, ვერ გავიგე, ანუ „პრაეზდნოისავით“, აბონემენტი გვექნება, რომ ნოშპა ვიყიდოთ? და რა ეღირება ის აბონემენტი და ყოველ წამალზე ცალ-ცალკე აბონემენტები გვექნება, თუ ყველაზე ერთად?

● ყინულიანი წყლის თავზე გადასასხმელად, მე ვიწვევ ირმა ნადირაშვილს!

● წვიმა გინდათ? მიყიდეთ მანქანა და რო გავრეცხავ, უეჭველი წამოვა. თუ არა და იჯექით სიცხეში!

● საქართველოს მთავრობა | Government of Georgia მარტო თბილისი არაა საქართველო, რაიონებს მიხედეთ.

● რისიც გეშინია იმას იღებ, ეს სამყაროს კანონია!

არაფერი უკვალოდ არ იკარგება, ჩვენი ყველასი დამსახურებაა ის გარემო, რა გარემოშიც გვიწევს ცხოვრება!

● 10-დღიანი კაზანტიპი რას დაგვაკლებს? როცა მთელი საქართველო, ერთი დიდი ბორდელი და კაზინოა!

რაც მეტი შიშები იქნება თქვენს თავებში, რომ კაზანტიპი დაანგრევს ჩვენს ზნეობას, მით მეტად ხელს ვუწყობთ ბნელ ძალებს, თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში!

დაუჯერეთ მაცხოვარს, იცხოვრეთ დღევანდლით, აფრქვიეთ ზეცას „პლუსები“, ხვალინდელს ის მოგვიგვარებს!

გამოთქვი შენი აზრი, მშვიდად, ისტერიკების და შიშის გარეშე, შიში „მინუსია“ და ეშმაკისეულია!..

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ



იქ, სადაც იქნება საქართველო, უნდა იყოს აჭარაც

ხარიტონ ახვლედიანი - 110

გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ხარიტონ ახვლედიანს 25 აგვისტოს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდებოდა. ის 1938 წლიდან 1989 წლამდე აჭარის მუზეუმის დირექტორი იყო, რომელიც დღეს ღირსეულად ატარებს ბატონი ხარიტონის სახელს. სამუზეუმო საქმის ამაგდარის სახელთან არის დაკავშირებული მუზეუმის, როგორც სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარება...

ხარიტონ ახვლედიანს ყოველთვის მაღალი თანამდებობები ეკავა, იყო კომუნისტური პარტიის აქტიური წევრი, მაგრამ მისი მოღვაწეობა თავიდან ბოლომდე გამსჭვალული იყო ეროვნულობით, თავისი ქვეყნისა და მშობლიური კუთხის სიყვარულით. ამას კარგად გრძნობდნენ აჭარლები. ამიტომაც სარგებლობდა მათი დიდი სიყვარულით, ასეა დღესაც.

ძალიან ტრაგიკული ოჯახი ჰქონდა. ხარიტონის გარდა, სამივე შვილი ახალგაზრდობის ასაკში გარდაეცვალათ. დედამ, რომელიც ცნობილი მასწავლებელი გახლდათ, ამდენს ვერ გაუძლო. ჩაიკეტა ოთახში შვილების სურათებით გარემოცული და ცრემლი არ უშრებოდა თვალზე. სთხოვდნენ თავის პედაგოგიურ საქმიანობას დაბრუნებოდა, მაგრამ ამაოდ. ერთხელაც, უთხრეს, ფანჯარაში გაიხედეო. გაიხედა და რას ხედავს: თავსხმა წვიმაში, უქოლგოდ, თითქმის მთელი სკოლა გამოსულიყო და მის გამოსვლას ელოდებოდნენ. ამის შემდეგ ისევ შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბატონი ხარიტონი არასოდეს გამოთიშვია საქმეს. პირიქით, ყოველთვის ცდილობდა, თავისი მდგომარეობა გამოეყენებინა და მიემართა ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

როცა გასული საუკუნის დასაწყისში მეფის ხელისუფლება დაემხო, ხოლო საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მნიშვნელოვანი იყო, თუ სად იქნებოდა აჭარის ადგილი და რა იქნებოდა მისი სტატუსი. ყველაზე სწორი ნაბიჯი იყო, რომ აჭარა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. ამისთვის დიდი ძალისხმევა გასწიეს მაშინდელმა ღირსეულმა მამულიშვილებმა, განსაკუთრებით კი, ჰაიდარ აბაშიძემ.

ხარიტონ ახვლედიანი ყოველთვის ამბობდა, რომ „აჭარელი სარწმუნოების მიუხედავად, არის ქართველი; და იქ, სადაც იქნება საქართველო, უნდა იყოს აჭარა“.

ამიტომაც აფასებდა მას აჭარელი ხალხი, სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. ხარიტონ ახვლედიანის 110 წლის იუბილესაც ღირსეულად აღნიშნავენ აჭარაში, რადგან ასეთი ადამიანების ხსოვნა ახლა ძალიან გვჭირდება. ჩემდა სამწუხაროდ, ახალ საუკუნეში პატრიოტების ნაკლებობას განვიცდით. გვჭირდებიან ისეთი მოღვაწეები, სამშობლოსთვის თავდადებული შვილები, რომლებიც დღენიადაგ ეროვნულ ფასეულობებზე იფიქრებენ, ქვეყნის სამსახურში ჩადგებიან.

ხარიტონ ახვლედიანმა ეს მოახერხა. თუნდაც იმ ეპოქაში, როდესაც სამშობლოს ცნებას საბჭოეთის ცის ქვეშ მეტ-ნაკლებად აკნინებდნენ, როცა ეროვნულობა ძირითადად კომუნისტური პარტიის ერთგულ მსახურებას ნიშნავდა... ხარიტონ ახვლედიანს შთამომავლობა არ დარჩა, მაგრამ მას დარჩა წიგნები და ის გაკეთებული საქმეები, რომლითაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მეცნიერებაში.

მარიამ ლორთქიფანიძე

◎ ზაფხულის ყველაზე „ცხელი“ ბიზნესი

სამუშაო დღეებში აკვაპარკს, საშუალოდ, 600-800 ადამიანი, შაბათ-კვირას კი 1300-1500 ვიზიტორი სტუმრობს

ზაფხულის ცხელი ამინდები თბილისელებს საცურაო აუზებისკენ და სხვა მრავალ გასარუჯ-გამაგრილებელ დაწესებულებებში ვიზიტისკენ უბიძგებს. იმის გასარკვევად, რას სთავაზობენ თბილისში არსებული აკვაპარკები მომხმარებელს და როგორია მათი ვიზიტორების რაოდენობა, Bpn.ge „ჯინო ფერედაისისა“ და „ევრო პარკის“ წარმომადგენლებს ესაუბრა.

როგორც „ჯინო ფერედაისის“ წარმომადგენელი აღნიშნავს, მათთან ყველაზე დიდი რაოდენობით „სტანდარტ პაკეტი“ იყიდება, რომელიც მოიცავს ღია არეალს, იქნება ეს ტალღოვანი აუზი, ე.წ. მდინარე თუ ა.შ. რაც შეეხება დღის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობას, სამუშაო დღეებსა და უქმეებზე სხვადასხვა მაჩვენებელია. სამუშაო დღეებში აკვაპარკს საშუალოდ 600-800 ადამიანი, შაბათ-კვირას კი 1300- 1500 ვიზიტორი სტუმრობს.

პაკეტების გაყიდვის მიხედვით კი სურათი ასეთია: **ერთი დღის განმავლობაში გაყიდვების 60% „სტანდარტ პაკეტზე“, დაახლოებით 20% კი „ბიზნეს“ და „ვიპ პაკეტებზე“ მოდის. მცირე რაოდენობით იყიდება „ეკონომ პაკეტი“ და „ექსელენთი“.**

როგორც ჯინო „ფერედაისში“ ამბობენ, **ამ ეტაპზე მომხმარებელს რამდენიმე სახის ფასდაკლებას სთავაზობენ. „რამდენიმე აქცია გვაქვს, „ვიპ პაკეტში“ 4 ადამიანს, 2 ადამიანის მომსახურების ფასად შეუძლია შემოსვლა. „ექსელენთ პაკეტში“ 10 ადამიანს შეუძლია, 5-ის ფასად შემოვიდეს. ფასდაკლებებია საოჯახო პაკეტებშიც“, — აცხადებენ აკვაპარკის მენეჯმენტში.**

„ევრო პარკის“ ფასები და აქციების ჩამონათვალი კი ასეთია: ერთი ადამიანის მომსახურება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 30 ლარი ღირს, შაბათ-კვირას კი 40 ლარი. ამჟამად „ევრო პარკში“ მიმდინარეობს აქციები : „ევრო პარკისა“ და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი აქცია — „მეტი“. ამ აქციის პრინციპია — „ერთი უდრის ორს“. ეს აქცია ყოველდღე მოქმედებს და შესაბამისად, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ერთი ადამიანის ვიზიტი 15 ლარი ჯდება. შაბათ-კვირას კი ერთი ადამიანის შესვლა „ევრო პარკში“ 20 ლარი ჯდება. კიდევ ერთი აქცია „ევრო პარკს“ ფასდაკლების საიტ „სვუპთან“ ერთად აქვს. ამ შემთხვევაშიც ფასი თითქმის განახევრებულია. როგორც „ევროპარკის“ მენეჯმენტში განმარტავენ, მომხმარებლის მხრიდან ორივე აქციაზე დიდი მოთხოვნაა. „ევრო პარკის“ უპირატესობა ის არის, რომ 30-ლარიანი ბილეთის შეძენის შემთხვევაში, 7 წლამდე ბავშვის ვიზიტი უფასოა. დანარჩენი აქციების შემთხვევაში კი 3 წლამდე ბავშვის შემოყვანისას ვიზიტორი არაფერს იხდის“, — აღნიშნავს ევრო პარკის მარკეტინგის მენეჯერი თაკო სოსელია.

მისივე თქმით, თვეების მიხედვით პარკში ვიზიტორთა რაოდენობა განსხვავებულია: **„აგვისტოს თვეში ბათუმში უფრო მეტი მომხმარებელი გვყავს, ვიდრე თბილისში. ივნისი და ივლისი თბილისში უფრო აქტიურია. ამ დროს დღის განმავლობაში ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ 300-600 ადამიანია. გამონაკლის შემთხვევებში დღის განმავლობაში 800 სტუმარიც გვყოლია“,** — აღნიშნავს თაკო სოსელია.

„ევრო პარკში“ ამბობენ, რომ მალე მომხმარებელს ახალ აუზს შესთავაზებენ და თუ წლევანდელი სეზონი აკვაპარკში მომხდარი ხანძრის გამო პომპეზურად ვერ გაიხსნა, მომავალი სეზონისთვის უფრო აქტიურად ემზადებიან.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე ამ მომსახურებას მომხმარებელს მხოლოდ ეს ორი კომპანია სთავაზობს და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ისინი ერთმანეთს პირდაპირ კონკურენტებად არ მიიჩნევენ.

თამარ კორკოტაშვილი

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი“ 2014 წლის 22 აგვისტოდან აცხადებს აუქციონს შავი და ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1:

შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი (24 ვაგონი-პლათფორმა და ერთი თბომავალი ტგმ-4) – სავარაუდოდ 520ტ. – 1ტ. საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 235 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №2:

შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი (ხიდური ამწეები) – სავარაუდოდ 100ტ. – 1 ტ. საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 235 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №3:

შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი (ჯოჯგინა ამწეები) – სავარაუდოთ 50ტ. – 1 ტ. საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 235 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №4:

შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი (დიდი დიამეტრის მილები) – სავარაუდოდ 50ტ. – 1 ტ. საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 500 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №5:

მეორადი რელსი P-50 – სავარაუდოდ 40 ტ. – 1 ტ. საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 300 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტი №6:

სპილენძის სუფთა ჯართი – სავარაუდოდ 0.865ტ. - 1 ტ. საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 6 000 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე

ლოტი №7:

კოჭები, სექციები, კოლექტორები – სავარაუდოთ 0.867ტ. - 1 ტ. საწყისი საუქციონო ფასი 18%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 4 920 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე.

№1,2,3,4,5 ლოტების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯებით მოახდინოს ტრანსპორტის და მუშა ხელის დაქირავება, ჯართის დაჭრა, დატვირთვა და საზოგადოების ტერიტორიიდან გადატვირთვა.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი”, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე” არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმე დღეების გარდა, 10^{00} – დან 15^{00} – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2014 წლის 27 აგვისტოს 12^{00} საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.gjmf.ge; ტელ. 5 77 43 47 42, 5 93 922 802, 5 77 003 707

სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.

საკუთარი ერის მოღალატე ნებისმიერი ხელისუფლება განწირულია დასალუპავად!



ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

ეს წიგნი, რომლის ჟანრიც პირობითად განვსაზღვრე, როგორც „ქრონიკა-რეპორტაჟი“, მოვლენათა ცხელ კვალზე იწერებოდა და მკითხველი ამას პირველი სტრიქონებიდანვე შენიშნავს. 205 დღის მანძილზე მე მღელვარებით ვაკვირდებოდი და გულთან ახლოს მიმქონდა ყველაფერი, რაც ხდებოდა არა მარტო კიევის შუაგულ მაიდანზე, არამედ მის გარშემოც. განვიცდიდი და ვფიქრობდი, სანამდე შეეძლო მიეყვანა ერთთავად აფორიაქებული ქვეყანა ხალხის უსაზღვრო მრისხანებას, რომელიც სულ უფრო და უფრო ტოვებდა ზომიერების ნაპირებს. ჩემი ქრონიკები, წერილები თუ ინტერვიუები, რომლებსაც სხვადასხვა გამოცემას ვაძლევდი, მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტებია იმ უზარმაზარი და ფერადოვანი პანოსი, რომელსაც უკრაინელი ერი შეუდრეკელი კოლექტიური ხელით ხატავდა როგორც დედაქალაქში, ასევე პერიფერიებშიც. ბუნებრივია, ბევრგან სრულიად სუბიექტური ვარ, ბევრგან, ალბათ, ვცდები კიდეც, მაგრამ ფაქტებთან ერთად ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი თხრობა ჩემი განცდების, ემოციების გულისცემის კარდიოგრამაც არის და უნებლიე შეცდომების გამამართლებელ საბუთადაც ეს მიმაჩნია. ამ დღიურების წერისას დღე და ღამე ჩემთვის ისე გაერთმთლიანდა, რომ არც მოვლენათა ღრმა ანალიზის დრო მქონდა და არც ფაქიზ სტილზე ზრუნვის საშუალება. თქვენ აქ ალაგ-ალაგ ნახავთ ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებებსაც, ცხელ გულზე გამოთქმულ და არცთუ გასაზიარებელ მოსაზრებებსაც, შეამჩნევთ, რომ არ ახდა ჩემი ზოგიერთი პროგნოზი თუ ეჭვი, მაგრამ, რადგან არასოდეს მიცდია საკუთარი თავი განსაკუთრებულ სტრატეგად წარმომეჩინა, ტექსტები დადგენილი ფაქტების შესაბამისად არ მისწორებია და ყველაფერს ვაქვეყნებ ისე, როგორც თავიდან დავწერე. ვინ იცის, იქნებ სულაც ეს იყოს ამ გამოცემის ღირსება. როცა დღიურების წერა თითქმის დასრულებული მქონდა, აღმოჩნდა, რომ მაიდნით მიღებულ შთაბეჭდილებებს ასევე ინიშნავდა ჩემი უფროსი ვაჟი რაულიც. ბევრი მათგანი მე მომეჩვენა ჩემი ტექსტების ერთგვარ გაგრძელებად და მათი გამოყენების ნებართვა ვთხოვე. ვინძლო არც მკითხველისთვის იყოს უინტერესო ახალგაზრდა კაცის თვალსაზრისი, რომელიც, ჩემგან განსხვავებით, აქ დაიბადა, გაიზარდა და ბევრ რამეს თავისებურად ხედავს და აფასებს. სხვათა შორის, მაიდანს მხურვალედ გულშემატკივრობდა რაულის უმცროსი ძმა თემურიც. ათასობით კიეველთან ერთად მომიტინგეებს ისინი ამარაგებდნენ მედიკამენტებით, სურსათ-სანოვაგით, ხოლო, როცა გრუშევსკის ქუჩაზე საბურავები დასჭირდათ, საბურავებითაც. ამ წიგნის შექმნაში თემურსაც მიუძღვის წვლილი: იგია მისი დამკაბადონებელი და დიზაინერი. ჩემი უკრაინაში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების ჟამს, აქ ოთხი ეპოქალური ამბავი მოხდა და ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად შეეხო ჩემს პირად ბიოგრაფიასაც. ჯერ იყო ჩერნობილის ტრაგედია, რომელმაც ასი ათასობით ადამიანი გააუბედურა და მსოფლიო შესძრა თავისი არნახული მასშტაბით. მას მოჰყვა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, საბჭოთა კავშირის დანგრევა და სუვერენული უკრაინული სახელმწიფოს აღმოცენება. მისი არსებობის მეცამეტე წლისთავზე იფეთქა ე. წ. „ნარინჯოვანმა რევოლუციამ“, რომელმაც ქუჩა უკრაინული პოლიტიკის უმთავრეს მოქმედ ძალად აქცია და თანდათანობით აზავთებულ ევრომაიდანში გადაიზარდა! უწინ მე, როგორც პატიოსანი ცოლ-შვილიანი მამაკაცი ოჯახის დანგრევის შიშით, ცდილობს, არ შეუყვარდეს უცხო ქალი, ვცდილობდი, ბოლომდე არ შემყვარებოდა აქაურობა, მეშინოდა, ვაითუ გულმა ორი ქვეყანა ვერ დაიტიოს-თქო. ყოველივე კარგს თუ ცუდს, რასაც აქ ვნახავდი, გავიგონებდი ან წავიკითხავდი, ქართულთან ვადარებდი და საპირწონეს ვუძებნიდი. მიკვირდა იმ ქართველების, შვილები რომ ადგილობრივებს მოანათვლინეს, აგარაკები კიევის მახლობლად აიშენეს. როცა მწერალთა კავშირი ნაკვეთებს გვირიგებდა, მე უარი ვთქვი, რადგან მეგონა, რომ იგი უცხო მიწასთან მიმაბამდა, საქართველოს უფრო დამაშორებდა. და, აი, უკრაინას ომი დაემუქრა. თუმცა, დაემუქრა რომელია, უკრაინაში ნამდვილი ომი დაიწყო. და მე ჩერნობილის შემდეგ პირველად და საბოლოოდ ვიწამე, რომ ეს მიწა, ეს ქვეყანა, ეს ხალხი ჩემთვისაც ღვიძლი ღვიძლთაგანია და მისი უბედურება ჩემი უბედურებაც არის. თუმცა, აქამდეც ვიცოდი, მაგრამ ამ თვეების მანძილზე, როცა ასე გაიწელა „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“, მკაფიოდ გამოიკვეთა ქართველთა და უკრაინელთა ერთობლივი მტრის შემზარავი სახე, რომელიც დაუნდობლად გვიტევს გემებით, ტანკებით, თვითმფრინავებით, გვისევს ქილერებს, ტერორისტებს, ყაჩაღებს. ამის მერე რა გასაკვირია, რომ უკრაინელთა უმეტესობა ელტვოდეს ცივილიზებულ ევროპას და ევროატლანტიკური ალიანსის მძლავრი ფარი ეგულებოდეს ეროვნული ხსნისა და დემოკრატიული განვითარების გარანტად. უმეტესობა-მეთქი, დავწერე, რადგან მოსახლეობის (ეს ის შემთხვევაა, როცა სწორედ მოსახლეობაზეა საუბარი და არა ერზე, რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით მაღალი ცნებაა) გარკვეულ ნაწილს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შეუნიშნავს ყოველი მათგანის თავზე დაკიდული დამოკლეს მახვილი. დიდი კინორეჟისორი ალექსანდრე დოვჟენკო ჩიოდა, უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საკუთარ ისტორიას არ ასწავლიანო. ეს მართლაც ასე იყო და ჩვენ ახლა ვხედავთ კიდეც, რა ხეირი მოიტანა დამპყრობლის მიერ დაწერილი ისტორიის სწავლამ. მათ, ვინც ბრმად წამოეგო მოსკოვიდან ნიაღვარივით წამოსულ ანტიუკრაინულ პროპაგანდას, სწორედ საკუთარი წარსულის ცოდნა აკლიათ, რადგან იგია პატრიოტიზმის უპირველესი ბურჯი და ბალავარი. „პუტინმა შესძლო ის, რაც ვერავინ შესძლო. მან გააერთიანა უკრაინელი ხალხი“, – წერს ცნობილი რუსი დისიდენტი ვლადიმერ ბუკოვსკი. ეს საკმაოდ სწორი აზრია და მეც ასე მგონია, რადგან დღეს უკრაინელთა მეტი წილი პუტინმოძულეა და სწორედ მასში ხედავს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელდაკაპიწებულ მესაფლავეს. და მაინც, როცა კიევის მაიდანზე ბანდერას პორტრეტი ჰკიდია, ხოლო კრამატორსკის ბლოკ-პოსტზე კი ლენინისა, ვფიქრობ, პუტინის გარდა, კიდევ რა ძალაა, ისეთი, რომელიც თითქოს გახლეჩის პირამდე მისულ უკრაინას გააერთიანებდა არა მხოლოდ სიტუაციურად, არამედ საბოლოოდ! საერთაშორისო პოლიტიკური მხარდაჭერა და ეკონომიკური თანადგომა ბევრს ნიშნავს, მაგრამ რაოდენ პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, უკრაინის მთავარი გასაჭირი მისი საშინაო საქმეებია. პრობლემურ რეგიონებში მას ჰყავს აბსოლუტურად გახრწნილი ხელისუფლება და მოღალატურად განწყობილი მოსახლეობა, რაც ართულებს და თითქმის შეუძლებელს ხდის იქ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას. რუსეთის ფაქტორი კი რუსულენოვან სამხრეთ-აღმოსავლეთში უზარმაზარია, რასაც კიევი, სამწუხაროდ, ვერაფერს უპირისპირებს. დონბასის მოსახლეობის აქტიური ნაწილი, რომელიც ქუჩაში გამოდის და პროტესტს გამოხატავს, მტრად სწორედ კიევურ მთავრობას მიიჩნევს და არა რუსეთის მიერ შემოგზავნილ ტერორისტებს. უკრაინის თემერვლის რევოლუციამ გვიჩვენა, რომ ხალხმა მაიდანზე გაიმარჯვა, მაგრამ დამარცხდა პარლამენტში, სადაც ძველებურად სხედან და ანტიუკრაინულ საქმეებს აკეთებენ სეპარატისტები. ბევრი მათგანი პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა, სარგებლობდა დამატებითი ხელშეუხებლობით, დადიოდა სახელმწიფო დაცვის თანხლებით და გვეპოზიორებოდა ბილბორდებიდან თუ ტელეეკრანებიდან. მათ პოლიტიკური ამინდის შესაბამისად შეცვალეს რიტორიკა, მაგრამ ყველა გრძნობს და ხვდება, რომ შინაგანად ისეთივენი დარჩნენ. რევოლუციამ ვერ მოგვცა მკაფიო ლოზუნგი, იდეა, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის პოსტმაიდნური განვითარების გზებს. დამოუკიდებლობის წლებში დემოკრატიულმა სამყარომ დაუშვა ბევრი შეცდომა, რომელთა მწარე ნაყოფსაც ახლა ვიმკით. უპირველესად არ იქნება გათვალისწინებული რუსეთის მენტალური თავისებურება, რაც მის მტაცებლურ ბუნებაში გამოიხატება. იმპერიას არა აქვს საზღვრები, მას აქვს პერიფერიები, რომლებიც მოითხოვენ მუდმივ გაფართოებას. ნებისმიერი ქვეყანა იმპერიის მიჯნაზე მისი პოტენციური მსხვერპლია. რუსეთმა გარკვეული ხნით თავი მოიკატუნა, რომ თითქოს განახლდა და დასავლურ ღირებულებებს აღიარებს. როცა მოღონიერდა, ბრჭყალებიც გამოაჩინა და ახალი პოლიტიკური და კულტურული იდეოლოგიაც შემოგვთავაზა: „რუსული სამყარო“ ესაა პრაქტიკულად თანამედროვე რუსეთის განვითარების დოქტრინა, რომლის თანახმადაც ეს სამყარო მთავრდება იქ, სადაც მთავრდება რუსული ენის გამოყენების სფერო. შემოპარებული ტერმინი „რუსულენოვანი მოსახლეობაც“ ამ იდეოლოგიის ნაწილია, უფრო მეტიც – ძირითადი საყრდენია მისი, ახლა გადავხედოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის რუკას და დავინახავთ, რა მკაფიოდ იკვეთება მასზე რუსი შოვინისტების მიერ ნალოლიავები „სამყაროს“ ავბედითი კონტურები. პუტინის აკვიატებული იდეაა, შთაბეჭროს მას ახალი სიცოცხლე, უპირველესად კი გააერთიანოს „რუსული ქალაქები, რა თქმა უნდა, მათი ისტორიული „დედის“, კიევის ჩათვლით. პუტინი მიხვდა, რომ ამ სამყაროს ცენტრი კიევია და არა მოსკოვი. ტერმინი „რუს“ დასაბამიდან აღნიშნავდა იმ ტერიტორიას, რომელსაც მოიცავდა „კიევსკაია რუს“ და შესაბამისად იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც. უკრაინელები, როგორც მათი ეთნოგენეზისის შედეგად წარმოშობილ ადამიანთა ერთობა, სახელწოდება „რუსს“ გაცილებით დასაბუთებულად იმსახურებენ (უკრაინელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი „რუსინები“ დღესაც ცხოვრობს იმიერკარპატეთში), ვიდრე პეტრე პირველამდე არსებული მოსკოვიტები, რომლებმაც იგი მიითვისეს. თუ ისტორიული ფაქტების ლოგიკას მივყვებით, თანამედროვე რუსებს, ანუ მოსკოვიტთა შთამომავლებს, არაფერი აქვთ საერთო არც მთავრინა ოლღასთან, არც იაროსლავ ბრძენთან, არც ვლადიმერ მონომახთან, არც იმ ქრისტიანულ ცივილიზაციასთან, რომელიც 988 წელს „კიევსკაია რუსის“ მონათვლით დაიწყო. გამოჩენილი უკრაინელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, დამოუკიდებელი უკრაინის პირველი პრეზიდენტი მიხაილო გრუშევსკი თავის ნაშრომში „ვინ არიან უკრაინელები და რა სურთ მათ“ (1917), წერდა, რომ ძველად, ჯერ კიდევ ოლღასა და ვლადიმერის დროს, რომელმაც კიევის რუსეთი მონათლა, ჩვენს ქვეყანას რუსების ქვეყანა ერქვა. ველიკორუსული და ბელორუსული მიწებიც ამ სახელით იყო ცნობილი, რადგან ისინიც კიევს ეკუთვნოდნენ. თათრებისა და მონღოლების შემოსევისას ძველი კიევის სახელმწიფო გაიყო და კიეველ მთავრებს უკვე ყურს არავინ უგდებდა. კიევის მიტროპოლიტი საბოლოოდ მოსკოვში გადაბარგდა, ხოლო გალიციისა და ვოლინის მხარეში საკუთარი მიტროპოლიტი აირჩიეს. ამიერიდან უკვე მოსკოვის მიტროპოლიტი იყო უპირველესი და უფროსი, მის მიტროპოლიას ერქვა „დიდი რუსეთი“, გალიციისას კი „მცირე რუსეთი“. ამ გაყოფიდან კიდევ საკმაო ხანს კიევისა და გალიციის მიწებზე მცხოვრები ხალხი საკუთარ ქვეყანას რუსთა ქვეყანას უწოდებდა. მას შემდეგ, რაც ბოგდან ხმელნიცკის დროს უკრაინისა და ბელორუსიის მიწები მოსკოვის მიწებთან გაერთიანდნენ (1654), იშვა სახელწოდებები „დიდი, მცირე და თეთრი რუსეთი“.

> **უცნაური ხალხია უკრაინელები! ყველა მისი უდიდესი მტერი საკუთარი სიკვდილით მოკვდა!**
>
> **ივან დრაჩი.**
>
> **საინფორმაციო ომში ყოველთვის აგებს ის, ვინც სიმართლეს ამბობს. იგი შეზღუდულია სიმართლით, ცრუპენტელას კი ყველაფერი შეუძლია თქვას.**
>
> **რობერტ შეკლი**

მოსკოვიტების შთამომავლობამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ ფსევდორუსეთის ისტორია იწყება „ოქროს ურდოდან“ და უნგრულ-ფინური ტომების, თათრების, მორდველების, მოკშების, მეშჩერიაკებისა და სხვათა მრავალთა კოლორიტული ნაზავიდან.

თუ ჩვენს მსჯელობაში ძალიან გავთამამდები, იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ პუტინის თანამემამულეები წარმოშობით საერთოდ არ არიან სლავები, თუმცა, თავიანთი იმპერიული ყოფის პერიოდში ეროვნული იდენტობის უმთავრეს ნიშნად „პრავოსლავიე“ გამოაცხადეს, რომელიც მათი გაგებით (მე ასე ვფიქრობ) უფრო ორთოდოქსალურ სლავობას ნიშნავს, ვიდრე ქრისტიანობას, და, აი, აქ კი მივადექით იმ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს, რომლის გამოც რუსეთი ასე აგრესიულადაა განწყობილი უკრაინის მიმართ და ვერანაირად წარმოუდგენია იგი საკუთარ საზღვრებს მიღმა. გადმოცემის თანახმად, როგორც ცნობილია, „კიევსკაია რუს“ მთავარმა ვლადიმერმა მონათლა ხერსონესში, რომელიც თანამედროვე სევასტოპოლის მახლობლად მდებარეობს. თუ უკრაინა ცალკე სახელმწიფოა და ყირიმი მისი შემადგენელი ნაწილია, გამოდის, რომ რუსული ეროვნული იდეის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი „დერჟავის“ მიღმაა, რაც პუტინს, გუნდიაევს და მათ გარემოცვას დაუშვებლად მიაჩნიათ. არის, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც, რომელთა ახსნა არც თუ ძნელია. ესაა ე. წ. თანამემამულეთა დაცვა, საკუთარ საზღვრებთან ნატოს ჯარების მიუღებლობა, ეკონომიკური ინტერესები და, რაც მთავარია, უკრაინის კვლავ საკუთარ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქცევა. ცხადია, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების მანძილზე დღევანდელი რუსები გვარიანად აითქვიფნენ ნამდვილ სლავებში და დღეს მტკიცება იმისა, რომ მათ სლავობისა სულ არაფერი სცხიათ, გადაჭარბება იქნება. მძლავრი იმპერიული და საბჭოთა პროპაგანდის გავლენით, რომელიც ამკვიდრებდა სამი ერის – რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების – სისხლისმიერი და სულიერი ძმობის თეორიას, სამივე ეთნოსში არსებობს გარკვეული ნათესაობის შეგრძნება, მაგრამ ყველაფერს აფუჭებდა და აფუჭებს „უფროსი ძმის“ სინდრომი, რომელიც რუსებმა ვერა და ვერ დაძლიეს. ისინი არ ცნობენ უკრაინელებს ერად, უკრაინულს კი – ენად. ერთი მხრივ ამბობენ, რომ უკრაინული ენა არ არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ კი, მოითხოვენ, უკრაინული არ გვესმის, ამიტომ რუსულსაც სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭეთო. იბადება ბუნებრივი კითხვა: თუ უკრაინული იგივე რუსულია, როგორ არ გესმით და თუ რუსული არაა, ცალკე ენად რატომ არ ცნობთ? მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის მოსახლეობას, ისევე როგორც უკრაინისას, რომელთა ნათესაობის უარყოფა ძნელია, არ სურს ერთმანეთთან ომი, თუმცა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ერთი დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება: აქამდე არსებული ე. წ. „ოქროს თაღების“ კონცეფცია, რომ თითქოს ქვეყნები, რომლებსაც აქვთ „მაკდონალდსების“ ქსელი, ერთმანეთთან არ იომებენ, რუსეთის უკრაინაში შემოჭრამ ნაცარტუტად აქცია. რომელი „მაკდონალდსი“, როცა ათასი ნათესაური კავშირით გადანასკვული ორი ერი დაპირისპირებია ერთმანეთს! სხვათა შორის, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა რუსებსა და უკრაინელებს ერთმანეთზე იერიში მიაქვთ. მაგალითად, 1659 წელს ჰეტმანმა ივან ვიგოვსკიმ უკრაინულ ციხესიმაგრე კონოტოპთან სასტიკად დაამარცხა რუსი სარდლების სემიონ პოჟარსკისა და სემიონ ლვოვის ცხენოსანი არმია და ეს შეტაკება ისტორიაში ცნობილია კონოტოპის ბრძოლის სახელწოდებით 1708 წელს მოსკოვური ჯარი ალექსანდრე მენშიკოვის მეთაურობით თავს დაესხა კაზაკთა დედაქალაქ ბატურინს, ამოწყვიტა მისი მცხოვრებნი და მიწასთან გაასწორა იქაურობა. ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი შეტაკება რუსებსა და

უკრაინელებს შორის მოხდა 1918 წლის თებერვალში, როცა კიევის მოსკოვური წითელი ურდო შემოესია პოლკოვნიკ მიხეილ მურავიოვის მეთაურობით. მათ მედგრად დაუხვდნენ პეტლიურელებისა და ჰაიდამაკების რაზმები, მაგრამ მომხვდურის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. უკრაინელთა ისტორიულ მეხსიერებაში აწ უკვე გალეგენდებულია სამასი უკრაინელი სტუდენტის თავგანწირვა სადგურ კრუტისთან 1918 წლის იანვარში, სადაც ყველა, როგორც ერთი, გმირული სიკვდილით დაეცა (ძალიან ჰგავს ჩვენი სამასი არაგველის თავდადებას კრწანისთან ან ჭაბუკი იუნკრების გმირობას ტაბახმელასთან). კიდევ ბევრი სხვა უთანხმოება და სისხლიანი გარჩევა ჰქონია ამ ორ მეზობელ ერს, მაგრამ ოფიციალური ისტორიოგრაფია მათ მორცხვად ჩქმალავდა. მხოლოდ 2009 წელს პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს თაოსნობით აღინიშნა კონოტოპის ბრძოლის 350 წლისთავი, რაც რუსეთმა ძალიან მტკივნეულად აღიქვა და არამეგობრულ ჟესტად შეაფასა. ეს ის დრო იყო, როცა მოსკოვსა და კიევს შორის გაგანია საგაზო ომი მიმდინარეობდა, რომელიც, როგორც ცნობილია, ტიმოშენკოს კაბალური ხელშეკრულებით დასრულდა. იანუკოვიჩის ტახტზე ასვლისა და, როგორც ახლა ვხედავთ, სრული ფარული კაპიტულაციის შემდეგ კრემლმა შეარბილა მკაცრი რიტორიკა უკრაინის მიმართ, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა მოღალატე დიქტატორის ჩამოგდება, რომ ისევ ძველი ცნობილი ფირფიტა ჩაერთოთ: არიქა, ჩვენებს სცემენ, უნდა მივეშველოთო! ვფიქრობ, სანამ დამპყრობელს არ მოუთოკავს თავისი იმპერიული მადა, უკრაინამ უნდა დასძლიოს პაციფიზმის, „ისტორიული ძმობის“ კომპლექსი და თვითონ დაიცვას საკუთარი მიწა-წყალი. მარტო საქართველოს მაგალითიც საკმარისია, რომ მივხვდეთ – შენს ნაცვლად თავს არავინ მოიკლავს. უკრაინამ უბრძოლველად და საკმაოდ საჩოთირროდ უკვე დაკარგა ტერიტორია ყირიმის სახით, მაგრამ თუ სირაქლემას პოზაში ყოფნას გააგრძელებს, დაკარგავს მათაც, რომლებსაც ასე გააფთრებით ედავებიან. საერთოდაც, უცნაური დამოკიდებულება აქვს დღეს უკრაინას თავის ოკუპანტ ქვეყანასთან: აგრძელებს მასთან აღებ-მიცემობას, კულტურულ ურთიერთობებს, უფრო მეტიც – აწვდის მას სამხედრო პროდუქციას, თითქოს ამ ნახევარი წლის მანძილზე არც არაფერი შეცვლილა. სინამდვილეში კი შეიცვალა და თანაც როგორ: თავდაყირა დადგა არა მარტო უკრაინის, არამედ გლობალური უსაფრთხოების საკითხიც. გამოიკვეთა უაღრესად საშიში ტენდენცია, როცა ატომური ბომბით აღჭურვილ აგრესორ ქვეყანას შეუძლია საკუთარი ნება-სურვილი უკარნახოს მთელ მსოფლიოს. რუსეთი ჩერდება მხოლოდ, იქ სადაც მას გააჩერებენ, ამიტომ გამოსავალი, ვფიქრობ, ერთადერთია: ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს პრინციპული დამოკიდებულება რუსეთის ნეოიმპერიალისტური ზრახვების მიმართ. ვიმედოვნებ, რომ მათ არსენალში მოიძებნება თავაშვებული ტერორისტის ასალაგმავი საშუალება. ბოლოს და ბოლოს, რაც დღეს უკრაინაში ხდება, არანაკლებ ემუქრება მათ სასიცოცხლო ინტერესებსაც. გეოპოლიტიკა ისეთი ოხერია, რომ მასში ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნის ბედი ინასკვება. უკრაინის მოვლენები ის სარკეა, რომელშიც სავარაუდოდ საკაცობრიო მომავლის საგანგაშო სილუეტებიც შეიძლება დავინახოთ. საქართველოს წარსული, რომ აქ კარგად მოჩანს, მგონი, მტკიცება არ სჭირდება. ჩვენ უკვე გამოვლილი გვაქვს გაუმაძღარ ჩრდილოელ მეზობელთან ხანგრძლივი დიპლომატიური, ცივი და ცხელი ომები, ნაწვნევი გვაქვს ტერიტორიების მიტაცებით გამოწვეული ტკივილი და ამუამადაც ნიადაგ ვხდებით საოკუპაციო მავთულხლართის უფრო და უფრო ქვეყნის სიღრმეში თავხედურად გადმოწევის სრულიად უმწეო მომსწრენი. სამწუხაროდ, ჩვენი სავალალო ბედი უკრაინამაც გაიზიარა. ის, რასაც დიდი ხანია, ვარაუდობდნენ და მე ჯიუტად არ მჯეროდა, მოხდა. რუსმა არც მეზობელი, ერთმორწმუნე უკრაინა დაინდო, რომელმაც ევროპის გზით სიარული სცადა. მათი დაპირისპირების პროცესი ჯერაც ურთულეს ფაზაშია და არ დამთავრებულა, მაგრამ უდავოა ერთი რამ: დამთავრდა ვიქტორ იანუკოვიჩის ავტოკრატიული მმართველობა და ქვეყანამ დემოკრატიულად აირჩია ახალი პრეზიდენტი, რომელსაც დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად მოსკოვიც ცნობს. აქედან უკვე იწყება უკრაინის არა მარტო პოსმაიდნური, პოსტყირიმული, არამედ ჭეშმარიტად პოსტსაბჭოური ეტაპი და ამაზე უკვე სხვა, ვრცელი ანალიტიკური წიგნია დასაწერი.

ეპილოგის მაგივრ

პრეზიდენტი ოჯახის კონტროლქვეშ

ახალი პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს ინაუგურაციით, რომელიც დღეს შედგა, უკრაინული „ღირსების რევოლუციის“ პირველი ფაზა ფორმალურად დასრულდა. ვადამდელი არჩევნების შედეგად ხალხმა პირველსავე ტურში დაასახელა თავისი ახალი ლიდერი, რომელსაც უახლოეს ხანში ურთულესი პრობლემების გადაჭრა მოუწევს. პეტრო პოროშენკო პირველი ლეგალური მილიარდერია უკრაინის ყოფილ და ახლანდელ ხელისუფალთა შორის და იაროსლავ ბრძენის, ბოგდან ხმელნიცკის, ივან მაზეპასა და მიხეილ გრუშევსკის შემდეგ ყველა განათლებულ მმართველად მიიჩნევდა. ოთხი შვილის მამას თვითონაც მამა ცოცხალი ჰყავს, რომელიც უკრაინის გმირია და ჯერ კიდევ განაგრძობს სამეურნეო საქმიანობას. ალექსი პოროშენკომ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ყოველი ნაბიჯი ოჯახის მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნება, რათა მან რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვას და მისთვის გამოცხადებული დიდი ნდობა გაამართლოს. როგორც საღამოსთვის გახდა ცნობილი, პრეზიდენტის მომავალ კონტროლიორთა რიცხვი გაიზარდა. ამ ღირსსახსოვარ დღეს მას შვილიშვილი შეეძინა.

ინაუგურაცია

ინაუგურაცია ტრადიციულად უზენაეს რადაში ჩატარდა, რომელსაც სამოცი ქვეყნის ოფიციალური დელეგაცია და ოცამდე სახელმწიფოს მეთაური, მათ შორის, საქართველოს ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტებიც დაესწრნენ. თავის საპროგრამო გამოსვლაში პეტრო პოროშენკომ უკრაინის, მთელი მსოფლიოსა და თვით რუსეთის გასაგონადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გზავნილი გაახმოვანა: საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელი საუკეთესოა არსებულთა შორის და იგი არ აპირებს გადაჭარბებული უფლებამოსილების მოთხოვნას; ყირიმი იყო, არის და იქნება უკრაინული; უკრაინა დარჩება უნიტარულ სახელმწიფოდ; მისი უპირველესი მიზანია: მშვიდობის დამყარება, კორუფციასთან ბრძოლა და ევროპული მომავლის უზრუნველყოფა. „მე უკვე ხელთა მაქვს კალამი და მზად ვარ, ასოციირების ეკონომიკურ ნაწილს დღესვე მოვაწერო ხელი“, – მიმართა მან ჰერმან ვან რომპეის და სხვა ევროპელ ლიდერებს. პეტრო პოროშენკომ დამსწრეთ შეახსენა, რომ მომავალი წლის პირველი იანვრიდან უკრაინის მოქალაქეები მიიღებენ ევროპასთან უვიზო რეჟიმს: „არავისა აქვს უფლება, ვეტო დაადოს უკრაინელი ხალხის ნებას, იყოს ევროკავშირის წევრი“, – თქვა პრეზიდენტმა. დარბაზი ფეხზე ადგომითა და ტაშით მიესალმა ამ წინადადებას, თავისი

რას უნდა ნიშნავდეს ეს ინციდენტი პრეზიდენტის და მთლიანად უკრაინის მომავლისთვის, მით უფრო, რომ თვით ინაუგურაცია მიცვალებულთა ხსენების დღეს შედგა. ღმერთმა ქნას, რომ ეს მხოლოდ უბრალო შემთხვევითობა იყოს და მის უკან რაიმე უბედურება არ იმალებოდეს.

გამოსვლის ნაწილი მან წარმოთქვა რუსულად, რაც გამიზნული იყო დონბასისა და, საერთოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინისთვის. „მშვიდობა, უსაფრთხოება, ერთობა, ადგილობრივ თავისებურებათა პატივისცემა და რუსულის, როგორც რეგიონული ენის, სტატუსი“, – აი, რა შესთავაზა პოროშენკომ ამ მხარეებში მცხოვრებ თანამემამულეებს. საინტერესოა ისიც, რომ ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე ქვეყნის ახალმა მეთაურმა შენიშნა: უკრაინისთვის განვითარების მოდელი იქნება პოლონეთი, რომლის ეკონომიკა ამუამად სამჯერ დიდია, ვიდრე უკრაინისა, თუმცა, ოთხმოციანი წლების მიწურულს პირიქით იყო. უკრაინის მთავრობის მთავარ მრჩეველად ეკონომიკურ საკითხებში კი ლეგენდარული ლეშეკ ბალცეროვიჩი მოიაზრება, რომლის განცხადებითაც კრიზისისგან თავის დასაღწევად უკრაინის ეკონომიკას შოკური თერაპია წესით არ უნდა დასჭირდეს (იგი ისეც შოკშია, რა ხანია!). თუმცა, ყველაფერი გაირკვევა გზადაგზა, რეფორმების მსვლელობასთან ერთად.

არჩევნებიდან არჩევნებისკენ?

უნდა ითქვას, რომ უკრაინის ამუამინდელი საპრეზიდენტო არჩევნები ყველაზე პატიოსანი, გამჭვირვალე და სამართლიანი გამოდგა. სამი თვის მანძილზე ქვეყანამ მოახერხა არა მარტო დამშვიდობებოდა თავის ძველ, დრომოჭმულ, თავით ფეხებამდე კორუმპირებულ ხელისუფლებას, არამედ გამკლავებოდა მტაცებელი მეზობლის აგრესიას და ახალი მესაჭეც აერჩია. საარჩევნო მართონში იულია ტიმოშენკო, როგორც უკვე ვწერდი, მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა, ლიდერს ქულათა დიდი სხვაობით ჩამორჩა. ჯერჯერობით, იგი თავდაჭერილად იქცევა, თოკავს ემოციებს, არ იმეორებს ოთხი წლის წინანდელ ისტერიკებს, რომლებიც ციხეში ჯდომის ფასად დაუჯდა. ამუამად მან სხვა ტაქტიკა აირჩია, თუმცა, ეჭვს არ იწვევს მისი ოპოზიციური გეგმები, რაც საქმისთვის აუცილებელიც კია. ინაუგურაციაზე იგი კვლავ თავისი განთქმული ნაწნავით მოგვევლინა, თუმცა, ამას წინათ სულ სხვა ვარცხნილობა ჰქონდა. არჩევნების ერთ-ერთ სიურპრიზად იქცა რადიკალური პარტიის ლიდერის ოლეგ ლიაშკოს მესამე ადგილზე გასვლა. მისი გაბედული (თუმცა, ხშირად პოპულისტური) გამოსვლები რადაში, ასევე მართლაც უშიშარი მოქმედება სეპარატისტებთან დაპირისპირების ზონაში ელექტორატს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ამუამად საერთოდ ბევრს ლაპარაკობენ რადის ვადამდელ არჩევნებზე, რომლის ახლანდელი შემადგენლობა სიტუაციური გადაფორმატების შემთხვევაშიც არასანდო იქნება. მართალია, არსებული რადის დაშლა და ახლის არჩევა ბევრ იურიდიულ კოლიზიასთანაა დაკავშირებული თუ, რა თქმა უნდა, რადა თავად არ გამოაცხადებს თვითლიკვიდაციას (რაც ნაკლებსავარაუდოა). ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უმოკლეს ხანში დეპუტატები შექმნიან ახალ, მყარ უმრავლესობას, მაგრამ გახდება თუ არა იგი მყარი საყრდენი პრეზიდენტისთვის, ამას უახლოეს კენჭისყრებზე ვნახავთ.

საკადრო პრობლემები

პეტრო პოროშენკოსთვის საპრეზიდენტო ვადის ათვლა უკვე დაიწყო. მისთვის ამუამად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სწორი საკადრო გადაწყვეტილებების მიღება, რომლებზეც ბევრად იქნება დამოკიდებული როგორც პირადი, ასევე საქვეყნო წარმატებებიც. გუშინ უკვე გადადგა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი პაშინსკი, რომლის ადგილსაც, მოარული ხმებით, დაიკავებს უკრაინელი და რუსი(!) მედიამაგნატი, პოროშენკოს მიზნეს-პარტნიორი სამეწარმეო საქმიანობაში, ჟურნალ „ფორბსის“ გამომცემელი უკრაინაში და მისი ნომინანტი, 42 წლის ბორის ლოჟკინი. უკრაინული სახელისუფლებო რეალიების გათვალისწინებით ეს ერთ-ერთი საკვანძო პოსტია უკრაინაში და ძალიან ბევრს ნიშნავს ის, თუ ვინ იდგება მის სათავეში. როგორც თვით პრეზიდენტმა თქვა, პრემიერი არსენ იაცენიუკი თანამდებობას შეინარჩუნებს, რადგან მან ამ უმძიმეს ჟამს მოვალეობას თავი კარგად გაართვა და ვერ ხედავს მისი შეცვლის აუცილებლობას. იაცენიუკი ამასწინათ რადის წინაშე წარსდგა მოხსენებით მთავრობის ასდღიანი საქმიანობის შესახებ, სადაც აღნიშნა, რომ უკრაინამ თავი დააღწია დეფოლტს, შესძლო შესაბამისი ფინანსების მოზიდვა და, მიუხედავად კრიზისული მდგომარეობისა, შეუდგა გადაუდებელი რეფორმების ჩატარებას. საკუთარ პოსტზე, ალბათ, ვერ დარჩება საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი დეშჩიცა, თუმცა, იგი პრემიერის კრეატურაა და თანაც შესამჩნევი ჩავარდნები არ ჰქონია. გენერალური პროკურორის თანამდებობაზე სახელდება ამუამინდელი ვიცე-პრემიერი გენერალი ვიტალი იარემა. კითხვის ნიშნის ქვეშაა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, მოსალოდნელია საკადრო ცვლილებები რეგიონებშიც.

ევრომაიდნის გაკვეთილები

ორიოდე სიტყვით ევრომაიდნის გაკვეთილებზე, რომლებიც ძირითადად ასე მესახება: ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც ღალატობს საკუთარი სახელმწიფოსა და ერის ინტერესებს, რაც არ უნდა მდიდარი იყოს, განწირულია დასაღუპავად; ნებისმიერ ქვეყანაში ხალხი იყო და რჩება ძალაუფლების პოტენციურ წყაროდ; კოლექტიური თავდაცვა სამხედრო ბლოკს გარეშე შეუძლებელია; არსებობენ რეალური ძალები, რომლებიც ცდილობენ მსოფლიოს რუკის ახალ თარგზე გამოჭრას და არსებული საზღვრების თვითნებურად გადახედვას; ჩნდება თანამედროვე ომის ახალი სახეობა, რომელიც დღეს აპრობაციას უკრაინაში გადის; დსთ, როგორც სახელმწიფოთა ფორმალური გაერთიანება, პრაქტიკულად მოკვდა: ასევე მთელი უკრაინა პრაქტიკულად პუტინმოძულე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დონბასში გრძელდება ანტიტერორისტული ოპერაცია, რუსეთი დიდი ალბათობით სცნობს პეტრო პოროშენკოს და მის მთავრობას, რაც გზას გაუხსნის მეზობელ ქვეყნებს შორის პირდაპირ დიალოგს და აწ უკვე ყველასგან მობეზრებული ფრაზა: „კიევის ხელისუფლება არალეგიტიმურია“, ძალას დაკარგავს. ეს საცნაური გახდა უკვე გუშინ საფრანგეთში, როცა „ნორმანდიანენმანის“ საზეიმო ცერემონიალზე პოროშენკოსა და პუტინს შორის 15-წუთიანი დიალოგი შედგა. დღევანდელ ინაუგურაციაზე თვით რუსეთის პრეზიდენტი მოწვეული არ ყოფილა და პროტოკოლი მხოლოდ ელჩის დასწრებით შემოიფარგლა.

კონსპიროლოგთა საფიქრალი

სულ ბოლოს, კი ასეთი კურიოზი: როცა პეტრო პოროშენკო რადაში შედიოდა, კიბეებთან მდგარ საპატიო ყარაულის ერთ-ერთ ჯარისკაცს ხელიდან იარაღი გაუვარდა და თვითონაც კინაღამ დაეცა, რაც ბევრს ცუდად ენიშნა და ოთხი წლისწინანდელი ამბავი გაახსენა, როცა ახლადარჩეულ იანუკოვიჩს ინაუგურაციის დღეს რადის კარები ცხვირწინ მიეხურა, ხოლო დნეპრის სანაპიროზე კიევის დამაარსებელთა ძეგლი ჩამოიქცა. კონსპიროლოგიის მოყვარულნი უკვე დღეიდანვე იწყებენ მკითხაობას, რას უნდა ნიშნავდეს ეს ინციდენტი პრეზიდენტის და მთლიანად უკრაინის მომავლისთვის, მით უფრო, რომ თვით ინაუგურაცია მიცვალებულთა ხსენების დღეს შედგა. ღმერთმა ქნას, რომ ეს მხოლოდ უბრალო შემთხვევითობა იყოს და მის უკან რაიმე უბედურება არ იმალებოდეს.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი (KRRIP) პროექტის № P117152

დავალების სახელწოდება: საკომპენსაციო ხეების დარგვის გეგმის მომზადება კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში

კონტრაქტი/RFP № KRRIP/CS/ICS-04
საიდენტიფიკაციო № KRRIP PP, პუნქტი #11

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **"საკომპენსაციო ხეების დარგვის გეგმის მომზადება კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში".**

დაინტერესებულმა ინდივიდუალურმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო კვალიფიკაციის და შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. შერჩევის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება;
- სპეციფიკური გამოცდილება;

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 თვე.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – "*მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]*" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების (2004 წლის გამოცემა, განახლებული 2011 წლის იანვარში) V ნაწილით -"ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა - მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება" - განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 05 სექტემბრის 17:00 საათისა**.

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 348
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)
Project No. P117152

Assignment Title: Preparation of a compensatory tree planting plan under Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)

Contract/RFP No: KRRIP/CS/ICS-04
Reference No. KRRIP PP, Item No.11

Georgia has received financing from the World Bank towards the costs of the Kakheti Regional Roads Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites individual consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of a compensatory tree planting plan under Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)".**

Interested individual consultants shall provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

The selection criteria are:

General experience;

Similar experience.

The estimated duration of the assignment is 1 month.

Note: The Road Department reserves its right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: "Selection of Individual Consultants" of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (May 2004 edition, revised January 2011).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **September 05, 2014, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 348
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ალიანჩალიანი

რუსები აფხაზეთისა და ცხინვალის მიერთების წინააღმდეგნი არიან

რუსული არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია „ლევადას" მონაცემებით, რუსეთში გამოკითხული მოქალაქეების უმრავლესობას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა არ სურს.

გამოკითხულთა 52% აცხადებს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს, 51%-ს იგივე მოსაზრება აქვს ცხინვალის რეგიონთან მიმართებაშიც. ერთი წლის წინ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული რუსების 30% მხარს უჭერდა აფხაზეთის რუსეთის ფედერაციასთან შეერთებას, თუმცა, ახლა მათი რაოდენობა 25%-მდე შემცირდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში კი – 29-დან 24%-მდე.

„ლევადას" კვლევის თანახმად, 2008 წლის აგვისტოს ომამდე გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა, დღესდღეობით ასეთი შეხედულება მხოლოდ გამოკითხულთა 22%-ს აქვს.

„კაზანტიპის რესპუბლიკაში" 30-მდე წყვილი დაქორწინდება

ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს" ღონისძიების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო სტურუამ მიაწოდა.

მისი თქმით, ამას ეწოდება სწრაფი ქორწინება, რა დროსაც წყვილებმა, რომლებიც ქორწინდებიან, შეუღლება რამდენიმე დღის წინ გადაწყვიტეს.

გუშინ გაიმართა ტრადიციული ღონისძიება, რა დროსაც „კაზანტიპის რესპუბლიკის" მოსახლეობა მზის ჩასვლას ერთად შეხვდება, ჰაერში ბუშტები გაუშვეს და სურვილები ჩაუთქვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იუწყება, ანაკლიასა და განმუხურში ტურისტების რაოდენობა იზრდება. „კაზანტიპის" ღონისძიების ფარგლებში კიდევ არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი. „კაზანტიპი" 20 აგვისტოს გაიხსნა და 30 აგვისტოს სპეციალური ღონისძიებით დაიხურება.

ინციდენტი რუსთავის მეექვსე დანესებულებაში

სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულების ერთ-ერთ საკანში წუხელ, ღამის პირველ საათზე ორ პატიმარს შორის ჩხუბი მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ თეა პერტაიამ განაცხადა, ჩხუბის შემდეგ ერთ-ერთი პატიმარი, რომელიც აგრესიით გამოირჩეოდა, მე-7 დაწესებულებაში გადაიყვანეს. მისივე თქმით, პატიმრის გადაყვანისას მის მიმართ სხვა მსჯავრდებულების მხრიდან იყო მხოლოდ მხარდასაჭერი გადაძახილები. პერტაია სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე სპეცრაზმის შეყვანას ან თავად დაწესებულებაში რაიმე დაძაბულობას და არეულობას უარყოფს. მისივე თქმით, ციხეში სიმშვიდეა.

ხულიგნობისთვის დააკავეს

შსს-ს ინფორმაციით, შსს-მ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისიებების შედეგად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით 1977 წელს დაბადებული ზაზა ბ. დააკავა.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ თბილისში, რესტორან „წისქვილის" მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულმა ეჭვიანობის ნიადაგზე ცივი იარაღით წელის არეში ჭრილობა მიაყენა 1980 წელს დაბადებულ ვიტალი შ-ს. ამ დროისთვის დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

სამართალდამცველებმა ზაზა ბ. მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს დანაშაულს. გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს.

ეს საოცარი რეკორდები

რაც კი რამ ქვეყანაზე გამორჩეულია რაიმე ნიშნით — ზომით, წონით, სიგრძე-სიგანით თუ სხვა რამით, ცნობილ „გინესის რეკორდების წიგნშია“ თავმოყრილი. მათგან ზოგიერთი, მაგალითად, დედამიწაზე ყველაზე დიდი თუ პატარა ძუძუმწოვარა ცხოველი და ა. შ., ასე ვთქვათ, „მუდმივია“, მაგრამ არის ბევრი რამ, რაც დროდადრო ახლდება. ამ ჯერზე ზოგიერთ ასეთ „განახლებად“ რეკორდს გაგაცნობთ.

ორმა ამერიკელმა მსოფლიო რეკორდი... ჟღარუნა გველებთან ერთად აბაზანაში დაამყარა — 75 ცალ ქვეწარმავალთან ერთად მათ 3 საათი 52 წუთი დაყვეს.

ფრანგი მიშელ ლოტიტო ჭეშმარიტად გაუმაძღარი კაცია: 1959 წლიდან მოყოლებული იგი აბსოლუტურად ყველაფერს ჭამს. მის მიერ შეჭმული ლითონის მასა 9 ტონას აჭარბებს, მათ შორისაა 18 ველოსიპედი, 15 სუპერმარკეტის ურიკა, 12 საწოლი, 17 კომპიუტერი, 116 შანდალი, 22 ტელევიზორი, რამდენიმე წყვილი თხილამური და აუარება „მისაყოლებელი“ წვრილმანი.

მალაიზიელმა ლეტჩემან რამაზამმა ორსართულიანი ომნიბუსი თმით 30 მეტრზე გაახოხა.

აფრიკაში ყველაზე დიდი ლოკოკინა იპოვეს, რომლის სიგრძე 39,3 სანტიმეტრია.



ახალზელანდიელმა კლინტ ჰალამმა ხელის მტევანი... სამჯერ დაკარგა: პირველად ეს ცუდი ამბავი მას 1989 წელს დაემართა ავტოავარიის შედეგად, მაგრამ ექიმებმა მისი მიკერება შეძლეს. მაგრამ შემდეგ, შეჭრილი ინფექციის გამო, იგი ისევ მოკვეთეს და ხელოვნური მიაკერეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ეს ხელოვნური ხელის მტევანიც მოკვეთეს მასალის ოგანიზმთან შეუთავსებლობის გამო.

შვეიცარიელ მარკო ჰორტს პირით ერთდროულად 258 სასმელი მილაკის დაჭერა შეუძლია.

ბრიტანელ ემილი სმიტს ტანზე პირსინგის 2520 ელემენტი აქვს, მათ შორისაა ნახვრეტი ენაზე, რომელშიც ქალბატონს თითის გაყრა შეუძლია.

ამერიკის ერთ-ერთ საფარი-პარკში მსოფლიოში ყველაზე მძიმე გველი, 271 სანტიმეტრის სიგრძის ქვეწარმავალი 183 კილოგრამს იწონის.

ყელაზე გრძელი გველი ჩვეულებრივი პიტონია, თუმცა კი მისი სიგრძე 7 მეტრია.

ყველაზე სწრაფი მჭამელია ვარსკვლავური ჩრჩილი, რომელსაც ნადავლის საჭმელად გამოსადეგობის დადგენა, მისი დაჭერა და გადასანსლა 120 მილიწამში შეუძლია.

დედამიწაზე ყველაზე შხამიანი ცხოველია ორფეხა თაღოვანი ბაყაყი, რომლის შხამის ერთ გრამს 100 ათასი კაცის მოკვლა შეუძლია.

1970 წელს ჰემოფილიით დაავადებულ პაციენტს ოპერაციის დროს 1080 ლიტრი სისხლი დასჭირდა, რაც 15 აბაზანას პირამდე ავსებდა.

ბოთლში ჩადებული ყველაზე ძველი გზავნილი ოკეანეში 92 წელი და 229 დღე — 1914 წლის 25 აპრილიდან 2006 წლის 10 დეკემბრამდე მოგზაურობდა, როცა ის ინგლისელმა მეთევზემ ამოიღო წყლიდან.

ყველაზე სწრაფად ას მეტრს — 17,35 წამში — ჰოლანდიელი ნიკო სურინგსი გარბის. — არ გეგონოთ, რომ ეს შეცდომაა: საქმე ის არის, რომ ამ მანძილს ამ დროში იგი... ყინულზე ფეხშიშველა ფარავს. რეკორდი 2006 წლის 8 დეკემბერს დამყარდა.

გოგრაზე სახის ამოკვეთის რეკორდი ამერიკელმა სტეფან კლარკმა დაამყარა, რომელმაც ეს „შემოქმედებითი პროცესი“ 24 წამში დაასრულა.

ინგლისელმა ჯონ ევანსმა მცირელიტრაჟიანი ავტომანქანა, რომლის წონა 159,6 კილოგრამია, თავზე, ხელების დაუხმარებლად, 33 წამი გაიჩერა. ეს რეკორდი 1999 წლის 24 მაისს დამყარდა. მისტერ ევანსის სიმაღლე 2 მეტრია, წონა — 156 კილოგრამი, კისრის გარშემოწერილობა — 61 სანტიმეტრი.

კომპიუტერისა და სამი ცარიელა კლავიატურის გამოყენებით, ეკრანის შეუხედავად მიშელ სანტელიამ 64 წიგნი (3,3 მილიონი სიტყვა) ააწყო! მათ შორისაა „ოდისეა“, ბიბლია, „2002 წლის გინესის რეკორდების წიგნი“, შექსპირის რამდენიმე პიესა, უამრავი სხვა. ყველა ტექსტი მან სხვადასხვა ენაზე ააწყო, მათ შორის ისეთ ეგზოტიკურზეც კი, როგორიცაა ძველებრაული. თანაც ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ყველა ტექსტი უკუღმა — დასასრულიდან დასაწყისამდეა აწყობილი. ეს ტიტანური და ყოვლად უსარგებლო შრომა მან 2007 წლის 26 ივლისს დაასრულა.

ბენზინის მაგივრად... წყალბადი

ელექტროენერგიით მკვებავი ძრავებიანი ავტომანქანები ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება, თუმცა იაპონური ავტოგიგანტის „ტოიოტას“ ხელმძღვანელობა სანაძლეოს ჩამოდის, რომ უახლოეს ას წელიწადში ხალხი სხვა ტიპის მანქანებით მეტად დაინტერესდება, რომლებიც საწვავიანი ელემენტების მეშვეობით იმოძრავებენ. მათ, კერძოდ, განაცხადეს, რომ ამ ახალი ტიპის სატრანსპორტო საშუალების საბოლოო ვარიანტი გაყიდვაში უახლოეს დროში გამოვა.

ოთხკარიანი სედანის ტიპის ძარიანი მანქანა 7 მილიონიენი (69 ათასი დოლარი) ეღირება, მაგრამ მისი ყიდვა მხოლოდ იაპონიაში იქნება შესაძლებელი, თანაც მხოლოდ იმ მხარეებში, სადაც წყალბადგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად განვითარებულია(!).

კომპანიაში აცხადებენ, რომ წყალბადის ავზების გამოყენება ენერგიას შეკუმშვის შესაძლებლობას აძლევს, რაც აკუმულატორულ ბატარეებთან შედარებით გაცილებით მაღალ ენერგეტიკულ სიმკვრივეს უზრუნველყოფს. ამასთან, წყალბადის ავზების შენახვა გაცილებით ადვილია. ასეთი ავტომანქანის გადაადგილების მანძილი კი 700 კილომეტრი იქნება, ხოლო მათი გამოყენებისას გარემოზე მავნე ზემოქმედება მინიმუამდე იქნება დაყვანილი.

ერთი კია: ავტომანქანაში 69 ათასი დოლარის გადახდა ყველას ნამდვილად არ შეეძლება.

უშვილობის მიზეზი - მზე

კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი შანსი კოსმოსში განსახლებაა, — მიაჩნია საქვეყნოდ ცნობილ ასტროფიზიკოსს სტივენ ჰოკინგს.

ამასთან დაკავშირებით, მეცნიერები დაფიქრდნენ: შეძლებენ კი ადამიანები კოსმოსში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს გამრავლებას?

ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევების სააგენტოს პირველი გამოკვლევების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, „კოსმოსი სქესობრივი ურთიერთობებისთვის აშკარად გამოუსადეგარი ადგილია“. მაგალითად, მარსზე ექსპედიციების მომავალ წევრებს **„დაორსულებას არ ურჩევენ, რადგან რადიაციისგან დამცველი თანამედროვე ეკრანები არასაკმარისად საიმედოა. მაღალი ენერგიებით დამუხტული პროტონები, სავარაუდოდ, კოსმოსში ჩასახულ გოგონათა უმრავლესობაში უშვილობას გამოიწვევს, ასევე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ბიჭებში შთამომავლობის ყოლის უნარზე“,** მიაჩნიათ მეცნიერებს. მათი აზრით ყველაზე დიდი საშიშროებას მზეზე აფეთქებები და გალაქტიკური გამოსხივება წარმოადგენს.

ეს ეშმაკუნა პატარები

ინგლისელი მკვლევარები ირწმუნებიან, რომ 4-7 წლის ბავშვებს... სხვების აზრების წაკითხვა შეუძლიათ.

ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ აზრების გამოცნობის ეფექტი გონების ფარული მართვის დროს წარმოიშვება, რომლის ხერხებს ბავშვები ქვეშეცნობით ფლობენ. ისინი აკვირდებიან და იმახსოვრებენ მშობლების ჟესტებს, მიმიკას, რომლებიც მათი გარკვეული მოქცევის გაკიცხვას ან წახალისებას გამოხატავენ. ამ „ქვეცნობიერი ღილაკების“ დამახსოვრებით, რომლებითაც ისინი მშობლებში სიხარულს, წყენას, სიბრალულს, ან სხვა გრძნობას „რთავენ“, ისინი იმ ჟესტებსა და მიმიკებს ხმარობენ, რომლებმაც როდესღაც მათ მშობლების სასურველი მოქმედება გამოიწვიეს, ვთქვათ, აჭამეს, ხელში აიყვანეს, წყალი დაალევინეს და ა. შ., შემდეგ კი ამას ისევ მათ სამართავად იყენებენ.

ამას ემატება ისიც, რომ პატარებს გამოგონილსა და რეალურად არსებულს შორის მკვეთრი ზღვარი არა აქვთ. ეს კი იმის შეგრძნებას იწვევს, რომ ბავშვები სხვების, ყოველ შემთხვევაში მსშობლების მაინც, აზრებს კითხულობენ.

მავთულხლართებში „გაჩხერილი“ ომი

ბსი0 წლის წინათ, 1914 წლის 1 აგვისტოს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, რომელმაც ძველი ევროპა სამუდამდ შეცვალა. ომის დაწყებით გერმანიის, რუსეთის, ავსტრო-უნგრეთისა და საფრანგეთის პირველ პირებს სწრაფი გამარჯვების იმედი ჰქონდათ, მაგრამ მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს სასაკლაო ოთხ წელიწადს გაგრძელდებოდა, ათი მილიონი კაცის სიცოცხლეს იმსხვერპლებდა და ოთხი იმპერიის — გერმანიის, რუსეთის, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთის — დაშლას გამოიწვევდა. იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ომი ამდენ ხანს გაგრძელდა, საბრძოლო მოქმედებებში მრავალი ახალი ტექნოლოგიის გამოყენება გახდა.

მათგან ერთ-ერთი პირველთაგანი 1883 წელს, ევროპიდან შორს, ატლანტიკის გადაღმა ამერიკის შეერთებულ შტატებში **ჰაიმერ მაქსიმის** მიერ გამოგონებული ტყვიამფრქვევი გახდა. ავტომატური გადატენვის იდეა გამომგონებელს ბავშვურმა გამოცდილებამ უკარნახა: როცა იგი მამასთან ერთად დათვზე ნადირობდა, გასროლისას თოფის კონდახმა უკუგდებისას მხარში ძლიერად დაარტყა, რამაც მას ამ ტყუილუბრალოდ დაკარგული ენერგიის გამოყენების აზრი გაუჩინა. ტყვიამფრქვევის პირველი ნახაზები მაქსიმმა 1873 წელს შეადგინა, თუმცა სამუშაოს ათი წლის შემდეგ დაუბრუნდა. შემდეგ იგი საცხოვრებლად ინგლისში გადავიდა, ტყვიამფრქვევი კი საბრძოლო მოქმედებებში პირველად 1893 წელს გამოიყენეს. მაშინ ინგლისელთა 50-კაციანი რაზმი, რომელიც ოთხი ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი, აფრიკის სამხრეთში საათნახევრის განმავლობაში ზულუსთა ხუთათასიანი რაზმის იერიშებს იგერიებდა. ბრძოლის ველზე სამი ათასი აფრიკელის ცხედარი დარჩა...

20 წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ მათ ადგილას ევროპელი ჯარისკაცები, მათ შორის ინგლისელებიც აღმოჩნდნენ, თუმცა კი „ჯოჯოხეთის მთიბავთა“ მსხვერპლი, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვიამფრქვევებს უწოდეს, ასეთი დიდი არ იქნებოდა, რომ არა კიდევ ერთი ამერიკელი გამომგონებელი.

1867 წლის 25 ივნისს ამერიკული შტატის აიოვას მკვიდრმა **ლუსინ ბ. სმიტმა** ახალი ღობის საავტორო უფლება აიღო, რომელიც ფოლადის მავთულიდან კეთდებოდა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „იგი საგანგებოდაა შექმნილი დასავლეთის შტატების პრერიებში გამოსაყენებლად, სადაც ხის მასალის ნაკლებობის გამო იმდენად დაბალ ღობეებს აშენებენ, რომ ცეცხლი მათზე ძალიან ადვილად გადადის“.

ეს მავთულხლართები არა მარტო ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნახირის გადაადგილების შესაზღუდავად, არამედ ფეხოსან ჯარისკაცთა წინააღმდეგ ბრძოლის ძალიან ეფექტიანი საშუალება გამოდგა, ცხენოსანი ჯარი კი სულაც დაასამარა.

ტყვიამფრქვევებისა და მავთულხლართების „დუეტმა“ პირველი მსოფლიო ომი ერთგვარ მანკიერ წრეში მოაქცია: **მავთულხლართი მოწინააღმდეგეს ტყვიამფრქვევებამდე მიღწევისა და მათი განადგურების შესაძლებლობას არ აძლევდა, ტყვიამფრქვევები კი მენაღმეებს მავთულხლართების გადაჭრას არ აცდიდნენ.** ამ ვითარებას „პოზიციური ჩიხი“ უწოდეს, რომელშიც მოხვედრილი ჯარისკაცები წლების მანძილზე სანგურებში გამომწყდეულები აღმოჩნდნენ: თავდაცვის გარღვევის ყველა მცდელობა უშედეგო იყო და უზარმაზარი დანაკარგი მოყვებოდა.

ამიტომაც იყო, რომ ამ ჩიხიდან გამოსასვლელად მერე გამოიგონეს მომწამვლელი გაზები, ტანკები, მოიერიშე და ბომბდამშენი თვითმფრინავები...

◎ კალათბურთი

ხვალ ბევრი რამ ღყდება

ხვალ თბილისის გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლე საქართველოსა და უნგრეთის ეროვნულ ნაკრებთა ყოფნა-არყოფნის მატჩს უმასპინძლებს.

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია ლეგენდარული ფალავნის სახელი, რომელიც ხალიჩაზეც და ცხოვრებაშიც სწორედ იმ შეუპოვრობითა და ძალგულოვნებით გამოირჩეოდა, რომლის გამოვლენაც „ჯვაროსნებს“ მადიარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში მართებთ.

არადა, შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე იგორ კოკოშკოვის შეგირდებს მეტოქეებთან რომ ღირსეულად გამკლავება შეუძლიათ, კარგად გამოჩნდა „ევრო-2015“-ის საკვალიფიკაციო რაუნდის სტარტზე ჩეხებთან და იმავე უნგრელებთან კეჩკემეტში გამართულ შეხვედრაში.

ალბათ, ვინმე იტყვის, ეს ხომ საწყისი ეტაპი იყო, როცა ბიჭებს ჯანი ერჩოდათ და ტრავმირებულთა არყოფნა ჯერ კიდევ არ იყო იმდენად საგრძნობი, როგორც მოგვიანებით პორტუგალიაში და, განსაკუთრებით ნიმბურკში, სადაც ჩეხებმა სასტიკი რევანში აიღეს — 86:67.

დიახ, ეს მართლაც ასეა, მაგრამ იგორ კოკოშკოვმა და მისმა სამწვრთნელო შტაბმა აგვისტოს ბატალიების წინაც ხომ იცოდა, რომ ცინცაძისა და ფაჩულიას სრულფასოვანი დუბლიორები ჰიკმანი და შერმადინი, ისევე როგორც გუნდის ყველა რგოლის გამაერთიანებელი და საკვანძო ფიგურა მარკოიშვილი პარტნიორებს ვერ დაეხმარებოდნენ. ჰოდა, ვფიქრობ, მართებული იქნებოდა ნიჭიერ, მაგრამ გამოუცდელ ახალგაზრდებთან ერთად თავის გამოჩენის შანსი კიდევ ერთხელ მისცემოდათ ძველი გვარდიის წარმომადგენლებს, მაგალითად ცქიტიშვილსა და გამყრელიძეს. და კიდევ, თუ მაინცდამაინც ახალი სისხლი იყო აუცილებელი, ჩვენი გაძვალტყავებული სუპერლიგის რჩეულებმა — ჩლაიძემ, ფარღალავამ და დვალიშვილმა რაღა დააშავეს?

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ორი ბარიერი გადალახა

ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო რაუნდში ორი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება. სოფიო შაფათავამ პირველ წრეში სლოვაკი კრისტინა კუჩოვა დაამარცხა — 6:3, 6:3, მეორეში კი სამ სეტში აჯობა იტალიელ ალბერტა ბრიანტის — 1:6, 6:1, 6:3. თბილისელი სპორტსმენი მესამე შეხვედრას ხორვატ მარიანა ლუჩიჩ-ბარონისთან გამართავს. ამ უკანასკნელმა ირინა ფალკონის (აშშ) მოუგო — 6:3, 6:3.

თანამემამულეს, სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბა ნიკოლოზ ბასილაშვილმა. მართალია, მან საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ორთაბრძოლაში ბელარუს ეგორ გერასიმოვს დააყრევინა ფარ-ხმალი — 4:6, 6:4, 7:5, თუმცა, მეორე წრეში ალჯაზ ბედენესთან (სლოვენია) წააგო — 3:6, 3:6.

გივი გაგუა

◎ წყალბურთი

ევროპა — „ოლიმპიკში“

ხვალ საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ 19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი დაიწყება. შეჯიბრებაში მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. ისინი ორგანიზატორებმა ოთხ ჯგუფში გადაანაწილეს:

ა ჯგუფი. იტალია, საქართველო, საბერძნეთი, თურქეთი.

ბ ჯგუფი. უნგრეთი, ესპანეთი, ჰოლანდია, სლოვაკეთი.

ც ჯგუფი. ჩერნოგორია, ხორვატეთი, გერმანია, საფრანგეთი.

დ ჯგუფი. სერბეთი, რუსეთი, რუმინეთი, უკრაინა.

ჯგუფური ტურნირი 24-26 აგვისტოს გაიმართება. მისი კალენდარი ასეთია:

24 აგვისტო

სერბეთი-უკრაინა, რუსეთი-რუმინეთი; უნგრეთი-სლოვაკეთი, ესპანეთი-ჰოლანდია; ჩერნოგორია-საფრანგეთი, ხორვატეთი-გერმანია; იტალია-თურქეთი, **საქართველო-საბერძნეთი** (21.00 სთ).

25 აგვისტო

გერმანია-ჩერნოგორია, საფრანგეთი-ხორვატეთი, რუმინეთი-სერბეთი, უკრაინა-რუსეთი, საბერძნეთი-იტალია, სლოვაკეთი-ესპანეთი, ჰოლანდია-უნგრეთი, **საქართველო-თურქეთი** (20.40).

26 აგვისტო

უნგრეთი-ესპანეთი, ჰოლანდია-სლოვაკეთი, საბერძნეთი-თურქეთი, გერმანია-საფრანგეთი, სერბეთი-რუსეთი, რუმინეთი-უკრაინა, ჩერნოგორია-ხორვატეთი, **საქართველო-იტალია** (20.40).

კონტინენტის ახალგაზრდული ჩემპიონატი 31 აგვისტოს დასრულდება.

ლაშა დიდია



სურათზე: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები.

◎ ძიუდო

მსოფლიოზე - ცხრა კაცით და ერთი ქალით

რუსეთის ქალაქი ჩელიაბინსკი 25 აგვისტოდან თვის ბოლომდე ძიუდოისტთა მსოფლიოს პირად-გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ვაჟთა გუნდის დაკომპლექტებისას ორი წონითი კატეგორია — 60 და 100 კილოგრამები გამოტოვა, მათ ხარჯზე კი ოთხი გააორმაგა. ამდენად, საქართველო მსოფლიოს ინდივიდუალურ პირველობაში 9 ძიუდოისტით წარსდგება. ესენი არიან: ამირან პაპინაშვილი **(60 კგ),** ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი **(ორივე — 73),** ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი **(81),** ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი **(90),** ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი **(+100).**

31 აგვისტოს ჩელიაბინსკში გუნდური შეჯიბრება გაიმართება. ამ ორთაბრძოლებისთვის ნაკრებს შალვა ქარდავა **(66)** და ზებედა რეხვიაშვილი **(73)** დაემატებიან.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მონაწილე გვეყოლება ქალთა ტურნირშიც — ნატურალიზებული ჰოლანდიელი ესტერ სტამი **(70),** ხოლო მსაჯად მიწვეულია ვლადიმერ ნუცუბიძე.

ლექსო ცინცაძე

◎ ვინ გვარცხვენს

„გენკმა“ ოქრიაშვილი 10000 ევროთი დააჯარიმა

ბელგიური საფეხბურთო კლუბის „გენკის“ ხელმძღვანელობამ ქართველი ლეგიონერი თორნიკე ოქრიაშვილი და სამხრეთაფრიკელი ანელე ნგონკგა ჩხუბისთვის 10000-10000 ევროთი დააჯარიმა. ამის შესახებ ბელგიური ინტერნეტპორტალი sport.be იუწყება.

ამ დღეებში მომხდარი ინციდენტისთვის ანელემ და ოქრიაშვილმა „გენკის“ საკლუბო ტელევიზიასთან საუბრისას ბოდიში მოიხადეს.

„მე და ანელე კარგი მეგობრები ვართ. ახლა ერთად ასი პროცენტით მომავალ თამაშში დავიხარჯებით“, — თქვა ოქრიაშვილმა.

„ჩვენ ვიცით, რომ არასწორად მოვიქეცით. გვსურს, რომ ეს პრობლემა გადავწყვიტოთ. მე და „ოქრიმ“ ამის შესახებ ვისაუბრეთ. ის კარგი ბიჭია და მეგობრები ვართ. ჩვენ ბოდიშს ვიხდით. გვსურს, რომ ეს ინციდენტი დავივიწყოთ და ყველაფერი მოედანზე დავდოთ. ერთად შრომას გავაგრძელებთ და მომავალ უქმეებზე „გენტთან“ 3 ქულის აღებას შევეცდებით“ — აღნიშნა ანელემ.

„გენკის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელ პიერ დენიერისთვის ინციდენტი ამოწურულია. აქვე გეტყვით, რომ ბელგიური კლუბის ხელმძღვანელობამ ჩხუბის მესამე მონაწილე ერვე კეიჯიც დასაჯა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ამერიკაში ფეხბურთის პოპულიზატორი ლამაზმანი

ევროპაში რა გითხრათ და, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნამეტნავად პოპულარულია წარმოშობით კუბელი, ულამაზესი მოდელი დაიამი პადრონი, რომელიც სამოდელო საქმის გარდა ევროპული ფეხბურთითაცაა გატაცებული, ამერიკაში „სოკერად“ რომ უხმობენ.

ამერიკის საფეხბურთო ლიგის ბოსებს დაიამისათვის არაერთხელ დაუვალებიათ ფეხბურთთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიების წაყვანა და ეს შხვართ-კისკისა ქალბატონიც ამგვარ შემოთავაზებებს დიდი სიხარულითა და ინტერესით თანხმდება ხოლმე.

დაიამი თურმე თვითონაც საკმაოდ კარგად თამაშობს ფეხბურთს. ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალთან ინტერვიუში დაიამი პადრონი ამბობს, რომ, მისი აზრით, სულ მალე დადგება დრო, როდესაც აშშ-ს მოსახლეობა „სოკერით“ კიდევ უფრო მეტად დაინტერესდება და ამ ქვეყანაში ეს სახეობა უპირველესი აუცილებლად გახდება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ეს ბიუჯეტს შეამცირებს, თუმცა...

სახელმწიფო ქონება 1 ლარად აღარ გასხვისდება!

სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად – 1 ლარად აღარ გასხვისდება და ის პირს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა. შესაბამისი ცვლილებები – „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში შედის, რომლის ავტორი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძეა.

დეპუტატის განმარტებით, სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი რეგულაციების არარსებობის გამო, ალტერნატიულ საშუალებად ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა გამოიყენება, მაშინ, როდესაც სიმბოლურ ფასად პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება შინაარსით ჩუქებას ემსგავსება.

მისი ცნობით, სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად ზოგადად გადაეცემა – იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეკომიგრანტებს, სოციალურად დაუცველებს, საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიას და წახალისების მიზნით, ინვესტორებს.

როგორც for.ge-ს ტყემალაძემ განუცხადა, სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ქონების მმართველის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის კომპეტენციას დაექვემდებარება.

„თავს ვიტყუებდით, რადგან სინამდვილეში, პირს სახელმწიფო ქონებას უფასოდ – 1 ლარად ვაძლევდით. მომავალში, თუ საჭირო იქნება, შესაბამის გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებს და პირს ქონებას უფასოდ გადასცემს და არა ერთ ლარად“, – აღნიშნავს დეპუტატი.

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემის წესი და პირობები ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება, ხოლო მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საკითხს ამზადებს და მთავრობას წარუდგენს ქონების მმართველი. ცვლილებებით, სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირობებით, ასევე პირობების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ინიციატივით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ვადად სამი თვე განისაზღვრება. ანუ, მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან სამი თვე უნდა გავიდეს.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების გარდა, საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პირობები იზრდება.

კერძოდ, ინიციატივით, მყიდველი ვალდებულია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო პირობად საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას წარადგინოს ვალდებულებების არანაკლებ 10 პროცენტის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი გარანტია, რომლის ვადაც ორი თვის ნაცვლად, ოთხი თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ვადას.

პროექტით, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულების გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, პრივატიზებული ქონება ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტირებულ მესამე პირის იპოთეკის უფლება უქმდება, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზაციო ვალდებულებების ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. პროექტით, სახელმწიფო ქონების შემძენს გადახდილ თანხებს და გაწეულ ხარჯებს არ აუნაზღაურებს.

სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად ზოგადად გადაეცემა - იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეკომიგრანტებს, სოციალურად დაუცველებს, საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიას და წახალისების მიზნით, ინვესტორებს.

აღნიშნული ცვლილებების გარდა, პროექტით, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთაც დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, საკუთრებაში გადაეცათ სახელმწიფო ქონება, გათავისუფლდებიან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2014 წლის 1 ივლისამდე წარმოშობილი ფულადი ვალდებულებისგან.

ამასთანავე, იძულებით გადაადგილებული პირების გარდა, ფიზიკური და იურიდიული პირები გათავისუფლდებიან 2012 წლის 17 სექტემბრამდე, ან 17 სექტემბრის შემდეგ, სახელმწიფო საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე სარგებლობის პერიოდისთვის გადასახდელი და სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

ტყემალაძის მტკიცებით, პატიების წარმოდგენილი შემთხვევა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო ქონების არამართლზომიერი მფლობელის იდენტიფიკაცია სახელმწიფო ქონების მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესის ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტით მარტივდება ასევე, სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების დაზიანების შემთხვევაში პირის მიერ ნებაყოფლობით ზიანის ანაზღაურების საკითხი.

კერძოდ, ცვლილებებთ, სახელმწიფო დაწესებულებას უფლება აქვს, მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, დაზიანებული ქონება გადასცეს ზიანის მიმყენებელსა და სანაცვლოდ მიიღოს და ბალანსზე აიყვანოს სხვა ქონება.

ამასთანავე, კანონპროექტი აკონკრეტებს პრივატიზების ფორმებს. კერძოდ, ცვლილებებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პრივატიზებისას, პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსა და მყიდველს შორის იდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და შესაბამისი ვალდებულებების წარმოშობის საფუძველია.

პროექტით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, შესაბამისი ხელშეკრულებიის ფორმას სამინისტრო ამტკიცებს და პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია, აუქციონში გამარჯვების დადასტურება წერილობით ან ელექტრონული ფორმით გასცეს. ხოლო, შესაბამისი ხელშეკრულება იდება აუქციონის ჩატარებიდან 45 დღის ვადაში, საქართველოს მთავრობის მიერ კი შესაბამისი აქტის მიღებიდან 3 თვის ვადაში.

პარლამენტში აღნიშნული ცვლილებები უკვე ინიცირებულია და მისი განხილვა საშემოდგომო სესიიდან დაიწყება, რომელიც 2 სექტემბერს ბიუროს სხდომით გაიხსნება.

რაც შეეხება იმ საკითხს, ეს ცვლილებები თუ რა გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე, ტყემალაძე განმარტავს, რომ კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შემცირების თვალსაზრისით, პირგასამტეხლოს თანხების გადასახადიდან გარკვეული კატეგორიის სუბიექტთა გათავისუფლების გამო.

შეგახსენებთ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გაცემის ორი ცნობილი ფაქტი აღირიცხა. თუ კურორტი საირმე ერთ ლარად გაიცა, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, პარლამენტის ექს-სპიკერს, ნინო ბუჯანაძეს წყნეთში 31 696 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და სახლი 1 ლარად გადაეცა, რომელიც ცნობილი პოლიტიკური პროცესების შემდეგ, მას ჩამოერთვა.

თეონა მანაგაძე

გახსენება

ჯუმბერ შენგელია

გავიდა ერთი წელი უშენოდ, ტკივილი თანდათან უფრო მწვავდება და, ალბათ, არც არასოდეს განელდება. ყოველი დღე უშენოდ გატარებული, გვიმტკიცებს იმას, რომ ცხოვრება გაუფერულდა. თურმე, რა ბედნიერი და უდარდელი ცხოვრებით ვცხოვრობდით შენთან ერთად და, რა დიდი ადამიანი ყოფილხარ ჩვენს გვერდით. სასოწარკვეთილება და იმის გააზრება, რომ ვერაფერს ვერ შევცვლით, უფრო ამძაფრებს ტკივილს, რომელიც სულ თან დაგვსდევს და თავს გვახსენებს. ვევედრებით უფალს, რომ ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

ოჯახისაგან

ჯუმბერ შენგელია

უკვე ერთი წელი შესრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხართ. თითოეულ ჩვენგანში ღრმა მწუხარებამ დაისადგურა. 2013 წლის აგვისტოდან ყოველი დღე ს/ს „მრეწვრკინიგზაში“ სავსეა ბ-ნ ჯუმბერზე მოგონებებით და დიდი გულისტკივილით. ყველაფერი თქვენს სახელთანაა დაკავშირებული. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ნათელი სული.

ს/ს „მრეწვრკინიგზის“ კოლექტივი

დემურ გადელია, პეტრე ბერაია, ვიტალი ხაზარაძე, თენგიზ კალანდაძე თანაუგრძნობენ ბელა ალანიასა და შალვა ნათელაშვილს დედისა და სიდედრის

იზაბელა ჯორჯიკია-ალანიას

გარდაცვალების გამო.

გიორგი და თინა ნაჭყებიები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეგობრის აკაკი ბრეგაძის მეუღლე, შესანიშნავი პედაგოგი და პიროვნება

ლილი იმედაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებს.

◎ დანაშაული

საზღვარზე საიუველირო ნაკეთობები არაკანონიერად გადმოჰქონდა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლისაგან ფარულად , დიდი ოდენობის საიუველირო ნაკეთობების გადმოტანის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის 21 აგვისტოს, მოქალაქე ესმრა ქაიამ, საქართველოს საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის„ გადმოკვეთისას, არ შეასრულა მასზე კანონით დადგენილი მოვალეობა და საბაჟო კონტროლისაგან მალულად, დიდი ოდენობის ოქროს ნაკეთობები გადმოიტანა საქართველოს ტერიტორიაზე. დანაშაულში ბრალდებული განუბაჟებელ ნივთებთან ერთად საგამოძიებო სამსახურმა საბაჟო გამშვებ პუნქტთან, საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ დააკავა.

დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე.

◎ თქვენთან როგორაა საქმე?

შეგიძლიათ, აღიაროთ თქვენი სისუსტეები?

მწერალი ონირე დე ბალზაკი ამტკიცებდა, რომ როდესაც ადამიანი აღიარებს თავის სისუსტეებს, ის ძლიერი ხდება.

თქვენთან როგორაა საქმე ამასთან დაკავშირებით? პატიოსნად შეარჩიეთ შემოთავაზებული ტესტის ყოველი შეკითხვის ერთ-ერთი ვარიანტი.

1. როდესაც რომელიმე მნიშვნელოვან საქმეზე შეგემთხვევათ წარუმატებობა, თქვენ:

ა) უმალვე სხვა რამეს მოკიდებთ ხელს;

ბ) დაიწყებთ ფიასკოს მიზეზის ძიებას;

გ) დაიწყებთ საკუთარი თავის კიცხვას, ლანძღვასაც კი.

2. რას იზამთ, თუ სხვის წიგნს დაკარგავთ?

ა) გაწითლდებით, გაგიჭირდებათ, მაგრამ აღიარებთ ამას;

ბ) ეტყვით, რომ ის თქვენ მოგპარეს;

გ) ბოდიშს მოიხდით და უმალვე დაივიწყებთ.

3. შეგიძლიათ თქვენთვის რაიმე საზიანოს გაკეთება?

ა) სამწუხაროდ, კი;

ბ) არასოდეს და არავითარ შემთხვევაში;

გ) ვცდილობ, ეს არ გავაკეთო, მაგრამ ზოგჯერ ეს ხდება.

4. შეგიძლიათ დასცინოთ თქვენს ნაკლოვანებებს?

ა) მხოლოდ თუ ვითარება მაიძულებს;

ბ) არასოდეს;

გ) რასაკვირველია.

5. გიჭირთ ვინმესთვის დახმარების თხოვნა?

ა) სულაც არა;

ბ) გააჩნია ვითარებას;

გ) ძალიან.

დაიანგარიშეთ ძულები ცხრილის გამოყენებით, შეაჯამეთ მოგროვებული ძულები, შეაფასეთ მიღებული შედეგი

5-დან 8 ძულამდე – თქვენ თვითდარწმუნებული ადამიანი ბრძანდებით. აი, თქვენს შეცდომებსა და სისუსტეებზე გირჩევნიათ არაფერი ილაპარაკოთ.

9-დან 12 ძულამდე – თქვენ საკმაოდ იოლად პატიობთ თქვენ თავს შეცდომებს, რომლებიც თქვენი მახლობლებისა და მეგობრების თვალწინ დაუშვით. მაგრამ უცნობ ადამიანებთან თქვენ გირჩევნიათ გამოიყურებოდეთ უზადო და უცოდველ ადამიანად.

	1	2	3	4	5
ა	1	3	2	1	3
ბ	2	2	1	2	2
გ	4	1	3	3	1

13-დან 16 ძულამდე – თქვენ მზად ხართ, აღიაროთ თქვენი პატარა ნაკლოვანებანი და მოინანიოთ კიდეც საკუთარი შეცდომები. ბოლოს და ბოლოს, ვინაა ჩვენთან იდეალური? მაგრამ ზოგჯერ თქვენ სერიოზულად იტანჯებით თქვენი არასრულყოფილების გამო (რაც შეიძლება მოჩვენებითიც იყოს).



მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი!..

დიდი მწერლის „10 მცნება“

1. ადამიანი სინდისია. სინდისის გარდა, რაც უნდა წაართვა, მაინც ადამიანი იქნება. სიკვდილის მერეც ადამიანისგან მარტო სინდისი რჩება. სინდისი იგივე ადამიანის სულია, ანუ სული იგივე სინდისია. აქედან დასკვნა: თუკი რამე ყოფილა, სინდისი ყოფილა უკვდავი.

2. მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი. ხურდა არ მინდა. სიცოცხლეს ვიხდი მთლიანად. რაც უნდა პარადოქსულად უღერდეს ჩვენს დროში, სამშობლოს სურნელს ვერ გაყიდი. სამშობლო იყიდება მისი სურნელი კი არა. სურნელი მაინც აქ რჩება, გამოცარიელებულ სივრცეში, ნასამშობლარზე...

3. სახლი მხოლოდ ის ადგილია, სადაც სხეული ეშვება სულის ღუზასავით.

4. მეტი არც არაფერია ოჯახი. მიუხედავად უსიტყვო შეთანხმებისა, ანდა, სწორედ უსიტყვო შეთანხმების გამო, არავის არ უნდა და მაინც ყველას ხელს აძლევს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.

5. სიყვარულიც თავისებური ომია, ომის და დაპირისპირების განსაკუთრებული სახეობაა, თუმცა, ნებისმიერი ომისა და დაპირისპირებისგან განსხვავებით, აქ მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც მარცხდება, ანუ, ვისაც დათმობის, გაგების, მიტევების მეტი უნარი აღმოაჩნდება; ამიტომაცაა ყველასთვის და ყოველთვის გაუგებარი. მაგრამ ამავე დროს, მიმზიდველიცაა და ძლიერიც, სწორედ იმიტომ, სრულებითაც რომ არ ცდილობს გასაგები გახდეს ვინმესთვის.

6. ადამიანი არასოდეს მარტო არ ცდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის მარტო აგებს პასუხს საერთო შეცდომებისთვის.

7. ბავშვებს ახლობლების უცილობელ სიყვარულში დარწმუნება ანიჭებთ ენით უთქმელ, უდიდეს სიამოვნებას. ისინი განუწყვეტლივ მოითხოვენ ამ სიყვარულის დადასტურებას და ყველაფერში ამ სიყვარულის აღმოჩენას ცდილობენ.

8. რაც უფრო ადრე განეწყობი სასიკვდილოდ, მით უკეთესი, მერე მშვიდად გაატარებ დარჩენილ დროს. თავიდანვე იმიტომ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე – სიკვდილისთვის რომ მოემზადოს, მოსამზადებელი დროა: როგორც მოწაფეებს ეძლევათ გარკვეული დრო ამა თუ იმ საგნის მოსამზადებლად. თუ დროში ვერ ჩაეტიე, ჩაიჭრები, – ანუ ღირსეულად ვერ მოკვდები, გამაიმუნდები.

9. ადამიანი თავად არის საკუთარი თავის მტერი, იმიტომ რომ, მთელი სიცოცხლე გაორებულია, გაორებული კი არ არის, ყველაფერი ორი აქვს მომადლებული ბუნებისგან, არა მარტო ფეხი, ხელი, თვალი და ყური – ფიქრიც, მიზანიც, თვალსაზრისიც, სურვილიც... მდინარესავით ორ ნაპირს შორის მიედინება გაჩენის დღიდან, და აქამდე არ იცის, ვერ დაუდგენია, რომელი ურჩევნია, რომელ ნაპირს მიეტმასნოს, რომელს მიეხეთქოს მთელი ძალით, რომელს მიეფეროს და რომელს გაულაწუნოს მღვრიე ტალღა სილასავით.

10. თითოეულ დღეს სიგრძეზე მეტი სიღრმე აქვს, რომელიც შეიძლება წელიწადსაც კი გაუტოლდეს... ყველას ვუსურვებ, იპოვოს სიცოცხლის არსი, გეცხოვროთ ღირსეული და ლამაზი ცხოვრებით...

ოთარ ჭილაძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲑᲠᲐᲜᲓᲘᲡᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲗ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲗ

„ᲤᲔᲠᲓᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲡ“ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ᲢᲔᲚ.: 214 41 58; ᲛᲝᲑ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

სერჟანტმა ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე იხსნა

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უმცროსმა სერჟანტმა ახალგაზრდა ქალი გადაარჩინა, რომელიც თვითმკვლელობის მიზნით მტკვარში გადახტა.

მალხაზ სინჯარაძემ ახალგაზრდა ქალი მტკვარში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შენიშნა და იგი ნაპირზე გამოიყვანა.

შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდნენ სამაშველო სამსახურის და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებიც.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ახალგაზრდა ქალი საავადმყოფოში გადაიყვანა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

თუ კვირაში შვიდი პარასკევი გაქვთ, ესე იგი, თქვენთვის წუნდებული კალენდარი შემოუსაღებიათ.

* * *

მე ჭკვიანი კი არა, გამოცდილი ქალი ვარ. ჭკვიანი რომ ვყოფილიყავი, ასეთი გამოცდილი ვერ ვიქნებოდი.

* * *

– უკვე მეოთხე დღეა, ჩემი ქმარი დაიკარგა, – აცხადებს ქალი პოლიციაში.

– დაწერეთ განცხადება.

დაწერა. წაიკითხეს.

– რა გადავცეთ, თუ ვიპოვეთ?

– უწინარესად უთხარით, რომ დედაჩემი არ ჩამოვა...

* * *

– ბიჭო, ვინა ხარ და რას აკეთებ ჩემს ბინაში?

– თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, არა მაქვს ახლა ფილოსოფიის თავი!

* * *

– ალო, გამარჯობათ! საბავშვო ბაღიდან გირეკავთ, როგორც იქნა, თქვენმა რიგმაც მოაღწია!!!

– გმადლობთ, მაგრამ ჩემი შვილი გუშინ არმიაში გაიწვიეს...

* * *

ᲑᲐᲠᲔᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ცხოვრების გონიერი ფორმების არსებობის საუკეთესო დადასტურება გახლავთ ის, რომ აქამდე არც ერთი მათგანი არ სტუმრებია დედამიწას.

* * *

– მოშე, ვინ მოიგონა რვა მარტის დღესასწაულობა?

– ვინ, აბრამ, და კლარა ცეტკინმა და როზა ლუქსემბურგმა.

– და რაში დასჭირდათ მათ ეს?

– ვფიქრობ, რომ ისინი ყვავილებით ვაჭრობდნენ...



ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓᲔ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოგულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24